"უზენაესი საბჭოს დადგენილებით თავისუფლების მოედანს უნდა ეწოდოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოედანი ან რესპუბლიკის მოედანი ე.წ. ვარდებისას... 1990 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ლენინის ძეგლი აღებული იქნა, მან სიმბოლურად ლენინი, ათეიზმი დაამარცხა საქართველოში და ამიტომ სიმბოლიური იქნებოდა თავისუფლების მოედნისთვის გვეწოდებინა ზვიად გამსახურდიას სახელი... უზენაესი საბჭოს დადგენილება არსებობს სახელის მიკუთვნების თაობაზე და ძეგლის თაობაზე არაფერია ნათქვამი", - აღნიშნულია პროფესორის კომენტარში.

გარდა ამისა, სოციალურ ქსელ "ფეისბუქში" 8 მარტიდან მოქმედებს გვერდი სახელწოდებით "ზვიად გამსახურდიას ქუჩა თბილისში", სადაც ამ ინიციატივის მომხრეები განცხადებას აქვეყნებენ. გვერდის ბმულს კონსტანტინე გამსახურდია საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

"თბილისში ზვიად გამსახურდიას სახელის ქუჩის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრებს მიგვანია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მესაბიერებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი სათანადოდ არ არის დაფასებული შთამომავლობის მიერ (დამოუკიდებლობის მომპოვებელი პირველი პრეზიდენტებს ყველგან სათანადოდ აფასებენ, ასე მაგალითად ჯორჯ ვაშინგტონის სახელი შთამომავლობამ საკუთარ დედაქალაქს უწოდა)... აღნიშნულიდან გამომდინარე, ვითხოვთ, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს ზვიად გამსახურდიას სახელი. მოგვაწოდეთ არგუმენტირებული მოსაზრებები და ალტერნატიული ვარიანტები აღნიშნულ იდეასთან დაკავშირებით (მხოლოდ მტკერის მარჯვენა სანაპიროზე, ძველი თბილისის მიდამოებში)", - აღნიშნულია საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში.

ქართულ საზოგადოებაში დღეს ასევე

ისმის შეკითხვა: მიენიჭება თუ არა თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი?

ჯგუფის ამ ინიციატივას უამრავი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის რიგი ადამიანების აზრით, პირველი პრეზიდენტის სახელი უნდა ეწოდოს ამჟამინდელ თავისუფლების მოედანს. ზოგმა გაიხსენა ისიც, რომ გარკვეულ ეტაპზე თავისუფლების მოედანზე გამსახურდიას ძეგლის დადგმის იდეაც არსებობდა. ამ პოლემიკაში ჩართო პრეზიდენტის ვაჟიც, კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც "ფეისბუქის" თავის გვერდზე დაწერა, რომ ქუჩისთვის სახელის მინიჭებას ეთანხმება, თუმცა კატეგორიული წინააღმდეგობა ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგას თავისუფლების მოედანზე. ბოლო ხანს ბატონი კონსტანტინე საზოგადოების ყურადღების ცენტრში ჩარგალში ბიძინა ივანიშვილის გვერდით გამოჩენისას მოხდა. გაჩნდა ბევრი კითხვა მისი მისამართით. ვცადეთ მას ამ თემაზე დავაკავშირებოდით, თუმცა გვითხრა, რომ არ სურდა პოლიტიკაზე ლაპარაკი და მხოლოდ იმის თქმით შემოიფარგლა, რომ ჩარგალში ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა სასიხარულო შემთხვევითობა იყო, რომ უახლოეს მომავალში აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას არ გეგმავს, ამ ეტაპზე კი დიპლომატიურ რეზერვში რჩება. რაც შეეხება თბილისში რომელიმე ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას და ძეგლის დადგმის იდეას, ამის თაობაზე პირველი პრეზიდენტის უფროსი ვაჟის მოსაზრებებს ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ბატონო კონსტანტინე, რას იტყვით თბილისში რომელიმე ქუჩისთვის პირველი პრეზიდენტის სახელის მინიჭების ინიციატივაზე, როდესაც მტკერის მარჯვენა სანაპიროს გარკვეულ მონაკვეთს უკვე ჰქვია ზვიად გამსახურდიას სახელი?

- თავის დროზე დიდი თადებითობა იყო მდინარე მტკერის ამ სანაპიროსთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება. ეს არის სანაპირო რომელზეც არც არავინ ცხოვრობს და არც არანაირი დაწესებულება არ არის განთავსებული. შესაბამისად, ფაქტია, რომ კონკრეტული მისამართი ამ ტერიტორიაზე არ არსებობს და არც არასოდეს არ იარსებებს. ვიმეორებ, ეს იყო ძველი ხელისუფლების უნიჭო ავიორა და თადლობა.

- როდის მიენიჭა მდინარე მტკერის ამ სანაპიროს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელი?

- ეს გადაწყვეტილება მიიღეს 2007 წელს, ანუ ეს ყველაფერი წინ უსწრებდა ზვიად გამსახურდიას ცხედრის გადმოსვენებას გროზიდან თბილისში. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა 2007 წლის გაზაფხულზე, სწორედ ამ პროცესს უსწრებდა წინ სანაპიროსთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება.

- როგორც ირკვევა, თავის დროზე არსებობდა ინიციატივა, რომ პირველი პრეზიდენტის ძეგლიც დაეგიათ თავისუფლების მოედანზე.

- ვიმეორებ, ამ აზრს მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. ლენინის ძეგლის ადგილას ზვიადის ძეგლი არ უნდა დაიდგას. ძეგლი შესაძლოა დაიდგას სადმე სკვერში ძეგლი უნდა იყოს მხოლოდ ზვიადის, ან შეიძლება მერაბ კოსტავასთან ერთად. თავისუფლების მოედანზე ზვიად გამსახურდიას ძეგლის დადგმის იდეა, როგორც დათო ტურაშვილის მოგონებიდან ჩანს, ჯერ კიდევ მამას სიცოცხლეშივე არსებობდა.

- თუ იცით ზვიად გამსახურდიას ძეგლზე ვინ მუშაობდა ან თუ გინახავთ რაიმე ესკიზი?

- კარგი იქნება, თუ თვითონ დათო ტურაშვილი გაიხსენებს უფრო დაზუსტებით, - რა და როგორ იყო, სამწუხაროდ, მე არ ვიცი რაიმე ამგვარი პროექტების თაობაზე რაიმე.

- რაც შეეხება თავისუფლების მოედნისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების იდეას, ამას ეთანხმებით?

- რაიმე გამოკვეთილი აზრი ამაზე ჯერ არ მაქვს, თუმცა ვფიქრობ ამაზე. მიმანია, რომ პირველი პრეზიდენტის ქუჩა უნდა არსებობდეს დედაქალაქში, თუმცა ეს ფართო საზოგადოების გადასაწყვეტია. როგორც ვიცი, მისი სახელის ქუჩები არის ბათუმსა და ზუგდიდში, ამავე ქალაქში დგას ზვიადის შესანიშნავი ბიუსტი (ეს გახლავთ ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ბიუსტი საქართველოში, რომელიც ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ხარჯებით დაიდგა - "ილორი").

- მახსოვს, კახა კუკავას ჰქონდა იდეა, რომ თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი დარქმეოდა, თქვენ თუ გსმენიათ ეს და რა აზრის ხართ?

- რა თქმა უნდა, მსმენია და მიმანია, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა. მოგეხსენებათ, ძალიან ბევრ ქვეყანაში პირველი პრეზიდენტის, სახელმწიფოს დამაარსებლისა თუ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის სახელი ჰქვია მნიშვნელოვან აეროპორტებს. მაგალითად, ნიუ იორკის აეროპორტს ჰქვია ჯონ ფიტცჯერალდ კენედის სახელი; თეირანის აეროპორტს ჰქვია აიათოლა ჰომეინის სახელი; საფრანგეთის ერთ-ერთ აეროპორტს ჰქვია პრეზიდენტ შარლ დე გოლის სახელი და ა.შ.

ნ. დოლიძე



გახარიების გვარის დალოცვა

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. GE36LBO11199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარაცხეთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 - ზაურ ბახარია.

მართალიში რაგადიშენ ვეფიქრათი ვადმანდინით.

ნიტე გამოჩქინუასი ვართ ცოდალო ვართ მარდინი.

მთიი მოკო თიციად რჩქინა ვეინწყელო ვაგანდენი.

გამიგონით თე ზუკოლი, ნამუთ გურით ბრავადენი.

ა თე დიხას თე რინაში წარე ოკო რდას უმენი.

გორჩქინელი თაში ორე წესის ოკო და უნენი.

ტვინიში წკონდა თოლი ოკო სიმართემენ ვაწკურენი;

შარა ორთუ შხვა ვაგიღუ, გიჩქ მუთუნი ვაწურენი.

მიქით ინჭუ, იჩქარუნი, ვარე თაქ მარენჯი ვართი;

საწმოსონო ვაკეთებე, საქმე ბორულ მეჯინათი.

დინას ოკო მიაბაღე, ეშე ცაშა ვეჯინათი;

უმოდესი ვათხოზათი, ართ მაჟიაში მეჯინათი.

კოჩანა რე: ჯინჯი, ფოსვი დო სვენა რე სკანი მინჯე;

გორჩქინდი დო კოჩო მორთი, ეთის ოკო ვაბაიჯე.

კინიჯინი, ნოქურემქი ქიდასქიდას სკან ნაბიჯემს.

მუშა მორთინ ქოიჩქუდა ზოკულს ხოლო ქუდამიჯერქ.

სკანი დუსუ ვამოთხიდა ჯგირიში გამათ სუ მუ დაშე;

მუ კოჩანა, უკოჩანე სკუალეფიში რდულაშენ?

ჯგირზე ჯგირი ირო ოფე, უარესიში მოუფრაშეთ...

რინა ვარე შური-დალა დუდი ოკო მოუწაშეთ.

უმეურენჯი ვართი დვენა მუშო გოკო ი ოხერო;

თი სვენაში მანგი ვარე კოჩანასი გიოხენი.

უკოჩანეში ნაკოჩანუთ მიქ რე ძირუ დიო ხერი?

დუსუ ჯგირო ქელაკითხე, მუსით მოთხე დიო ხენი.

ჭესის ოკო ვია უნე, რინას ვენდა მიაჩამუ,

უბადოსი ვემიციხალა, ვარა კოჩი მიაჩქენაშუ;

მორთ მუჭო მინაჭუ დო მუში თოღემს მი აჩამუ.

სკანი დუდი ოკო მირდე, ხე დო თოღემს მუ აშა უნს?*

ვემირჩქინათ თე ქიანა ანჯერო დო ოდიარეთ,

უხანდებუ დიხას რინა ვა ოფე დო სოთინი ვარე.

ვინიში მარდი - ჭყოლოფუა; ხე დო ტვინიში გორქია რე;

გურიში უჯი, ტვინიში თოლი რინაშიფილოსოფია რე.

ბურამ ჯიძია.

ჩხოროწყუ, ს. ლესიჭინე.

*ხე დო თოღემს მუ აშა უნს? - ხელსა და თვალს შუა რა იმეოფება? ნუ რა უნდა იყოსო. აქ ავტორი გულისხმობს ადამიანურ სინდის-ნამუსსა და ზომიერებას (რედ.).

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-220

ზემოთ აღნიშნული მეცნიერები მორიგდებით, მაგრამ მაინც ამბობენ, ქართველები და შუმერები მონათესავე ხალხები არიან. ხალხი, რომელსაც დღეს ქართველებად მოვიხსენიებთ, მიუხედავად ზოგიერთი ენობრივი განსხვავებისა, ერთი ისტორიით, ერთი თვითშეგნებით, კულტურით და სისხლბოროტით ერთ ეთნოსს წარმოადგენს. ეს დამტკიცდება სვანურის, ჭანურის, აფხაზურის, მეგრულის საშუალებით, – აგრძელებს ზ. ფიფია.

პანტელეიმონ ბერიძე, ბერძნულ-ლათინური ენების უბადლო მცოდნე, ამბობდა: „სკვამი“ „ლამაზს“ ნიშნავს. „სკვამი“ „ლარჭემთან“ ერთად ბერძნულ-ლათინურებში მოგვპარეს და ყოველივეს ლამაზის დამახინჯების „დესკვამაცია“ – „განლამაზება“ უწოდეს.

„გეგზისტყავისნიდან“ გვახსოვს თინათინზე ნათქვამი: „ტანი ალვა, პირად მანგი“. ჰომერის ვახტანგისეულ გამოცემაში განმარტებულია „მანგი“ – მეგრულად მარგალიტს ჰქვია.

დღესაც უხადოდ სწორსა და დახვეწილს ნიშნავს „მანგი“ მეგრულში. შემდეგ აღნიშნავს:

...სამშობლოში დაბრუნებულმა ფერეიდნელებმა სადილად მიგვიწვიეს, – წყის ზ. ფიფია, – კართან ორი ცირა იდგა. ერთს ხელში საწყე (ხელნახოცი) გვიბრა, მეორეს – ჭურჭლით ხეშიწყარი (ხელი წყალი). როცა წყალი გათავდა, ერთმა ჯეგელმა უთხრა ცირას – მამეც ვე სათლი და წყალს მოვიტანო. გვეუცხობა ეს სიტყვა: რა თქვი, რა უნდა მოგცეს? – ვკითხეთ. „სათლი, განა ქართულად სათლი არ ჰქვია ამ ჭურჭელს?“ – და ვედროზე მიგვივითა...

მე რომ მკითხონ, უპირველესად სვანურს ვასწავლიდი ქართველს, აფხაზურს ვასწავლიდი, მეგრულს ვასწავლიდი, ლაზურს ვასწავლიდი. ქართულს ვასწავლიდი და ამას სკოლის მერხიდან დავიწყებდი. მაშინ არავინ იფიქრებდა საქართველოსგან განხე გადგომას, – მიუთითებს ზაურ ფიფია.

* * *

პროტოქართული – წინაქართული სახელმწიფოს – ძველი კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია კაპადოკია, რომელიც ანკარიდან 300 კილომეტრითაა დაშორებული. ძველი კაპადოკია მდებარეობდა მცირე აზიის (ანატოლია) ცენტრში. ძვ. წ. V საუკუნეში კაპადოკია ორ ძირითად რაიონად – სატრაპიად იყო დაყოფილი: შავი ზღვის სანაპიროს და ხმელეთის (შიდა ნაწილის) სატრაპია. ანუ დიდი კაპადოკია და მცირე კაპადოკია. კაპადოკიაში ცხოვრობდნენ მოსხები, ტიბარები და სხვა ტომები. ძვ. წ. II ათასწლეულში კი კაპადოკიაში ცხოვრობდნენ ხათები ანუ პროტოხათები – ქართველთა მონათესავე ტომები (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

სტრაბონი გარკვევით ამბობს, რომ ის კაპადოკიელია (დიახ, სტრაბონის სამშობლო იყო კაპადოკია, დაიბადა ძვ. წ. 64 წელი – 23 წელი, ახალი წელთაღრიცხვით) ქალაქ ამასიიდან, რომელიც მდებარეობს მდინარე ირასეს ნაპირზე. ის ავტორია „ისტორიული მოგონებების“ და „გეოგრაფიის“, რომლებიც შეიცავს მრავალ ცნობებს ძველი კოლხეთის შესახებ. მან ფეხით შემოიარა მთელი კაპადოკია. მისი დედა იყო ტანი ქალი, თვალსაჩინო ერისთავის ქალიშვილი და პონტოს მეფე, დიდი მითრიდატესგან პატივცემული.

კაპადოკიის ტერიტორიაზე ჭანური ტომების არსებობას, რომ ისინი ამ ტერიტორიებზე მკვიდრი მაცხოვრებლები იყვნენ, ადასტურებს მრავალი ადგილთა, მთათა, ქალაქთა, მდინარეთა სახელწოდებანი. მაგალითად: დაბა თამარმე და დაბა მაქური, რომლებიც მდებარეობენ ქალაქ კესარიის მახლობლად; ქალაქი ვერება, ისიც ქალაქ კესარიის მახლობლად; ჭიჭაკის მთა ქალაქ კიშერის მახლობლად; ასევე მთები: ბოტო (კილიკიაში), თიჯერი, ორთაყვი, მდინარე ფარხალი და სხვა. მდინარე ინგირზე-გურზეა აშენებული ქალაქები ანგორა და ტაზის კარი (ტაშის კარი).

კაპადოკიის ტერიტორიაზე მრავალ მთას, მდინარეს, დაბას, ქალაქს აქვს ქართული სახელები. აი ზოგიერთი მათგანი: ნაჯილობევის, გომიშის, ქაჯოთ კარის, ბანას, ბზარის, ნებინის მთები, მდინარე ფარსაკი, ქალაქი ქუთაია და სხვები. ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს ქალაქი ენგური. სახელი ენგური ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა და ნიშნავს წმინდა ადგილს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვემო მესოპოტამიის ქალაქ ერედუში (იოვლება ლურსმული დამწერლობის მესადირკვლედი) მდებარე ღვთაება ენქის ტაძარი „ენგური“ პროტოშუმერული პერიოდისაა.

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, დაახლოებით ძვ. წ. XXII-XXI საუკუნეების მიჯნაზე, სემიტებთან ბროლის შემდეგ, მეგრულ-ლაზების ერთი ნაწილი, ქვემო მესოპოტამიიდან გადმოსახლდა ზემო მესოპოტამიაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, და ღვთაება ენქის (ეა-ს, აია-ს) კულტი და ტაძარი „ინგურიც“ თან „გადაიტანეს“. ამ დროიდან, ძვ. წ. მეორე ათასწლეულიდან (ბერძნული წყაროებიც მიუთითებენ ამაზე) ქვეყანას ეა-ია ერქვა. მთავარ ქალაქსაც ეა-ია ეწოდებოდა. ასე რომ, აივლებს-ელა-ელებს, დიდი მდინარის ნაპირზე ტაძარი აუცილებლად და მდინარისათვის, ტაძრისათვის და ქვეყნისათვის სახელი „ენგური“ დაურქმევიათ (ამის შესახებ სხვაგანაც ვლაპარაკობდით).

მაშასადამე, გამოდის, რომ ღვთაება ენქის ტაძარი „ენგური“ პალესტინაში, ისტორიაში პირველი ტაძარი, ქართული (მეგრულ-ლაზური) ყოფილა.

როგორც ითქვა, თურქეთის ტერიტორიაზე ერთ კი არა, ორ მდინარეს, დღესაც პირვანდელი სახელი, ენგური ჰქვია.

როგორც მიუთითებენ, ძველ დროში შუამდინარეთიდან ჭანურ-მეგრულ-ლაზური ტომების ერთი ნაწილის თანამედროვე კოლხეთში (სამეგრელოში) გადმოსვლის დროს გადმოიტანეს შუამდინარეთის ღვთაების პატივსაცემად, და ქვეყანას „ეა“ უწოდეს, ასევე ტაძარს, და როგორც ჩანს, ენგურის სახელწოდებაც (წმინდა ადგილი) აქედან მომდინარეობს.

კაპადოკია მეგრულ-ჭანური ტომებით რომ იყო დასახლებული, ადასტურებს ქსენოფონტეც. როგორც ითქვა, სპარსეთიდან თავისი დიდალი ჯარით დაბრუნებულმა ქსენოფონტემ გაიარა კოლხეთში (მან აგრეთვე გაიარა კაპადოკია და ტრაპეზუნდის ოლქიც), ხვდებოდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს, სწავლობდა მათ ყოფაცხოვრებას და „ანაბასისში“ („ანაბასისში“) გასაცდარი სიხუსით აქვს ისინი აღწერილი, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ კაპადოკია იყო მეგრულ-ჭანების საცხოვრისი.

თანამედროვე კაპადოკიაში და მისი დასაწყისი ქალაქ ნეკეპორში (ანკარიდან დაშორებულია 275 კმ-ით, მისი ძველი სახელწოდებაა ნისა), რომელიც ძველთნობა ხეთებს, ფრიგიელებს, პონტოელებს, ერთ დროს ჯვაროსნებს და სხვებს, მოღვაწეობდა წმ. გრიგოლ ნოსელი (ნოსელი). ქალაქში უამრავი მიწისქვეშა შენობა-ნაგებობანია, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე აუგიათ. შუა საუკუნეებში, კერძოდ IX-XII საუკუნეებში ფართოდ ყოფილა გაშლილი ქრისტიანული საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა და ცხოვრება. კლდეში გამოკვეთილი სენაკები და საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსების დიდი ნაწილი ძნელად მისაღწეად ადგილებზეა აშენებული და საქართველოს, ჩვენს ვარძიას გვაგონებს. ასეულობით ეკლესია-მონასტრიდან, დაახლოებით ორმოცდაათამდე მოხატულია (ფრესკები მეტად ლამაზია). საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსები არა მარტო საღვთისმეტყველო იყო, რამედ

საცხოვრებელიც. ამ ეკლესია-მონასტრებში 30 ათასი ბერი იყო დაყოფილი. იქვე ქალაქ გიორემის მახლობლად არის IV საუკუნის ეკლესია, რომელსაც გაანჩია ფრესკებით მოხატული სამლოცველო დარბაზი.

კაპადოკიის ბერი ეკლესია-მონასტერი მენეთებადაა გადაკეთებული. დარჩენილ ქრისტიანული ეკლესია-ტაძრების მოვლას ერთგვარი პასუხისმგებლობით ეკიდება თურქეთის ხელისუფლება. (აგთანდილ ნიკოლაიშვილი, ანკარიდან კაპადოკიაში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000, 24-26 ივლისი.) კაპადოკია ნამდვილად ადასტურებს, რომ იქ ფაქტობრივად ქართველთა სავანეებია – ქრისტიანული ეკლესია-ტაძრები, რომლებიც ამტკიცებენ დავით ჩუბინაშვილის და, უცხოელ მეცნიერთა დასკვნებს, რომ კაპადოკიელები ქართველები იყვნენ. აქედან გარკვევით ჩანს, რომ ნინო კაპადოკიელი, სვიმონ კანანელი, ასევე ცამეტი (ისინი უფრო მეტი ყოფილან) „ასურელი მამები“ ქართველები იყვნენ.

კაპადოკია – იერუსალიმი მიმდებარე ტერიტორიებით კოლხ-მეგრულთა დიდი სოფელი, საცხოვრისი იყო. სწორედ ეს არის იესო ქრისტეს – ნახარველი გმირის დაბადების ადგილი – იესო ქრისტეს მშობლების სამშობლო, საიდანაც თავდაპირველად დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება, რომელიც ჩვენი სამყაროს უდიდესი და უპირველესი რწმენა გახდა. ამდენად საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ამაში მეორე აზრი არ არსებობს.

როგორც აღინიშნა, საქართველო ქრისტიანობას იერუსალიმიდან, დედამიწის ჯადოსნურ, ღვთაებრივი კუთხიდან კაპადოკიიდან ეზიარა. ძვ. წ. XVIII საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ხეთებმა (პროტოხეთებმა) შექმნეს სახელმწიფო. ძვ. წ. XII საუკუნეში ხეთების სამეფოს უდიდესი ნაწილი ფრიგიის სამეფოს ხელში გადავიდა. (ვახტანგ გიორგიძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, გვ. 24.) როგორც ითქვა, კაპადოკია ორი სატრაპიად იყოფილა: „დიდი კაპადოკიად“ (კაპადოკიის შიდა რაიონები) და „მცირე კაპადოკიად“ (შავი ზღვის სანაპირო ზოლი ანუ პონტოს კაპადოკია).

კაპადოკიას მესხთა („მოსხების“) ქვეყანასაც უწოდებდნენ. ვ. გიორგიძეს მოაქვს ადგილი კარბელაშიელიდან, რომელშიც წერს: „კაპადოკია ან ჭანეთი დღესაც საესეა ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელწოდებით, რომელიც წმინდა ქართული არიან“. გიორგი გოსალიშვილს მიანჩია, რომ ჩვენს ერამდე ამ ტერიტორიაზე ქართველები ცხოვრობდნენ და იწოდებოდნენ კაპადოკიელებად. ელგუჯა ხინთიბიძეს კაპადოკიელი ეთნიკურ ტერმინად მიანჩია, რაც იგივე მესხია (მეგრელი).

XIX-XX სს. ცნობილ ქართველ ისტორიკოსებს, მწერლებს, მკვლევარებს, როგორც ითქვა, საფუძვლიანად სჯეროდათ (ისე როგორც დავით ჩუბინაშვილი) კაპადოკიის მოსახლეობის ქართული (კოლხური) წარმომავლობა. აკად. გრიგოლ გიორგაძე ხაზგასმით ამტკიცებს, რომ მუშქთა ძირითადი საცხოვრებელი ადგილი იყო მდინარეების ჭოროხისა და ზემო ევფრატის შორის მდებარე ტერიტორიები, რომელიც ფრიგიის სამეფო ქვეყანად ითვლებოდა. ასევე პონტოს კაპადოკიის ძირძველი მოსახლეობა იყო ხალიბები, ტიბერები, მოსინიკები, ლაზ-ჭანები და სხვა კოლხური ტომები. აკად. ნიკო მარი მიუთითებს, რომ თურქეთში ლაზების უწოდებენ შავიზღვისპირა ყველა მცხოვრებს თვით სამსუნელებსა და სინოპელებსაც (სინოპი პონტოს სამეფოს ყოფილი დედაქალაქი).

2004 წელს გამოვიდა ზურაბ ბატიაშვილის ნაშრომი „კაპადოკია“. ავტორი წერს, „კაპადოკია ჩვენი ძარღვი და ფესვია. იგი განუყოფელი რგოლი და ნაწილია ქართული სულის. აქ ფესვები უფრო დრმა და მისტიკურია. ჩვენი კავშირი წინა აზიასთან ათასწლეულებს ითვლის“ (ზურაბ ბატიაშვილი, კაპადოკია, „დილოგენ“, თბ., 2004, გვ. 5-6.) და დასძენს: კაპადოკია ულამაზესი, უმშვენიერესი მხარეა, ისტორიული, და შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს მერვე საოცრებად. ზ. ბატიაშვილს აღწერილი აქვს კაპადოკიის ისტორია ძველი დროიდან დღემდე, კაპადოკიის ეკლესია-მონასტრები, ისტორიული ქალაქები და ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი, კაპადოკიელი

წმინდანები – ნინო კაპადოკიელი, გიორგი დიდმოღვაწე, ბასილ დიდი (კესარიელი), გრიგოლ დვთისმეტყველი (ნაზიანზელი), გრიგოლ ნოსელი (ნოსელი), წიგნში მოთაგებულია რუკები, კაპადოკიის ისტორიული ძეგლებისა და ადგილების ფოტოსურათები. ზურაბ ბატიაშვილს თურქეთზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი – „თანამედროვე თურქეთი“, „ცნობები თურქეთზე“ და სხვა.

კაპადოკიაში ცნობილმა რელიგიურმა მოღვაწემ საბამ წმ. ხარიტონის ლავრა დააარსა, რომელმაც ლაზების მონასტრის სახელი მიიღო და ფაქტობრივად ქართველებმა (ლაზებმა) დაიკავეს (V-VI სს.). კაპადოკიის მთავარი ქალაქის მახლობლად მდებარე საბას სოფელი მუთალა და სახელი თინას ქართული (კოლხური) წარმომავლობისაა. ასევეა სოფელი ტოპადა, რომელიც ლაზურად მწარე ტბას ნიშნავს. (ვახტანგ გიორგიძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, გვ. 130, 132-133.) „ქ. კესარიასთან ასეთი ტოპონიმების არსებობა ადასტურებს ძვ. წ. VI ს. ბერძენი ავტორის ჰეკათეოს მილეტელის მითითებას, რომ მოხსენიებს „კოლხური ტომი“ (როგორც ვ. გიორგიძე წერს: ჩრდ. შუამდინარეთში ორი ანტიოქია იყო: 1. ანტიოქია მდ. მიგლონზე – იგივე ნისიბისი და 2. სირიაში მდ. ირონტზე მდებარე ანტიოქია).

სამცხის ბევრ სოფელს მეგრული სახელები აქვს: ხვალიში, ბოგა, თოკი, ტობა, კანანეთი, დაღეშუკა, ოჯორჯალი ნაბონა, კონო, წიფორთა-იფორთა და სხვა. იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტ“, 1970, 17 ოქტომბერი). ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ სამხრეთ საქართველოში (მესხეთში) მრავალი ტოპონიმი ლაზურ-ჭანურად იხსენიება. ქართული წარმომავლობისაა ბასილ კესარიელის მშობლიური სოფელი ანი (კოლხურია), ასევე კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი ევტიხი, რომელიც ჯერ ქ. ამასიის მახლობლად მდებარე ლაზიხის ეპისკოპოსი იყო („ლაზიხე“ ლაზურ-მეგრულად „ლაზის ქალიშვილს“ ნიშნავს – „ხე“ მეგრული ქალბატონის, ქალიშვილის გვარს ანსხვავებს მამაკაცისგან). ალბათ შემთხვევით არ იყო, რომ კოლხეთის (ეგრისის) მეფე გუბაზი კონსტანტინოპოლს ესტუმრა და იმპერატორმა ის დანიელ მესვეტეს შეახვედრა.

კაპადოკია-პონტო-კოლხეთი – ერთიანი, ქართველური (კოლხური) ეთნიკური სამყარო იყო.

როგორც ითქვა, კაპადოკიის ქართული ეკლესია-მონასტრების მცირე ნაწილს უწვლიან, მაგრამ დღევანდელი თურქეთის, უძველეს ქართულ მიწებზე არსებული უამრავი კულტურული ძეგლი – ქართულ ეკლესია-მონასტრებთან დაიწყო ნაწილი, როგორც აღინიშნა, თითქმის უყურადღებოდაა მიტოვებული, ნაწილი მენეთებად აქციეს, ნაწილი კი მეცხვარეებს აქვთ დაკავებული.

ქართული კულტურის მრავალი ძეგლია არა მარტო თურქეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის ბულგარეთში, საბერძნეთში, ისრაელში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში და სხვაგან. ქართული კულტურის ზოგიერთი ძეგლი „მითვისეს“ სხვა სახელმწიფოებმა, ზოგიც მიწასთან გაასწორეს და მხოლოდ დასახელება – სახელწოდება შერჩა, ან აქამდე მოაღწია მხოლოდ ნანგრევებმა, ან მატანეთა მწირმა ჩანაწერებმა. ისე როგორც სხვა ქვეყნებში, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ისტორიული ძეგლები თითქმის გაქრობის ზღვარზეა. ისტორიული ტაოკლარჯეთის ძეგლთაგან ძირითადად შემორჩენილია მხოლოდ ის ტაძრები, რომლებიც მენეთებად არის გადაკეთებული. თურქეთში – კლარჯეთსა და სხვა ეკლესიებში ქართული წირვა – ლოცვის აღდგენა მხოლოდ ოპტიმისტთა ოცნებაა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პრემიერი ივანიშვილი: „კონსტანტინე გამსახურდიას იმითაც არის ძართველი ხალხისთვის გამორჩეული, რომ მის ოჯახში აღიზარდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია“

„2013 წლის 15 მაისს შესრულდა 120 წელი დიდი ქართველი მწერალი-კლასიკოსის - კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან. კონსტანტინე გამსახურდიას სახელი ქართველი მკითხველისთვის, უფრო მეტიც, ქართველი კაცისთვის, პირველ რიგში, „დიდოსტატი“ კონსტანტინეს მარჯვენას“ უკავშირდება. კლასიკოსის შემოქმედებას დრო ვერაფერს აკლებს. დღესაც, ისევე, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინ, გამსახურდიას ნაწარმოებებს სხვა-დასხვა თაობის ადამიანები კითხულობენ და ძვირფასია მათთვის ერთნაირად საინტერესოა „დიონ-

ისოს დიმილი“, „დიდოსტატი“, „დავით აღმაშენებელი“, „მთვარის მტაცებელი“, „ერთნაირად ახლობელია მეფე გიორგი, დავით აღმაშენებელი, არსაკიძე... კონსტანტინე გამსახურდია იმითაც არის ქართველი ხალხისთვის გამორჩეული, რომ მის ოჯახში აღიზარდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურა. ჩვენ ამ საგანძურს უნდა გავუფრთხილდეთ.“

ბიძინა ივანიშვილი“



“არა - ერთსქესიან ქორწინებას, ჰომოსექსუალიზმსა და ყოველგვარ სექსუალურ ბარჰენილებას საქართველოში!”

საქინფორმმა გაავრცელა რუსეთის ჯავახიის დიასპორის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი:

“გვირფასო თანამემამულენო! აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენს საყვარელ საქართველოში მიმდინარეობს დია იდეოლოგიური ოკუპაცია ევროპისა და აშშ-ს მხრიდან, რომლებიც უხეშად ნერგავენ და თავს გვახვევენ ზოგიერთ მიუღებელ ეგრეთ წოდებულ ევროპულ ფასეულობას. საერთო-სახალხო უარყოფამ და აღშფოთებამ 17 მაისს აჩვენა, რომ ქართველი ხალხი მტკიცედ დგას თავისი ერთგული ტრადიციების სადარაჯოზე, სადაც მთავარია ისეთი ფასეულობები, როგორც ღირსება, სირცხვილი და სინდისი.

- ჩვენ ვაცხადებთ:
- არა - საქართველოში ერთსქესიან ქორწინებას, ჰომოსექსუალიზმსა და ყოველგვარ სექსუალურ გარყვნილებას;
- არა - საქართველოში ნარკოტიკების გამოყენების ლეგიტიმაციას;
- არა - საქართველოში აბორტებსა და ევთანაზიას;
- არა - საქართველოში დამანგრეველ იუგენალურ იუსტიციას და ბავშვთა პორნოგრაფიას;
- არა - საქართველოში სულიერების ნაკლებ...

ბობას, ჰელონიზმს და ზნე-ჩვეულებათა თავისუფლებას.

ჩვენ ვაპროტესტებთ და ვამბობთ: “ძირს საქართველოს ევროპული იდეოლოგიური ოკუპაცია“!

პატივისცემით,

რუსეთის ჯავახიის დიასპორა

2013 წლის 20 მაისი“

გაზეთ “ილორის” კომენტარი - მაშინ, როცა მსოფლიო საზოგადოების სადად მოახროვნენ ნაწილი სასტიკად გამოეს ყოველგვარ ანომალური გადახრებს - პედოფილიას, ჰომოსექსუალიზმს, ლესბოსელობას და სხვა სიმახინჯეებს, საქართველოში, ვიდაც გადაგვარებულები, როგორც ჩანს, გარკვეული ანგარების საფუძველზე, კატეგორიულად მოითხოვენ 17 მაისის საპროტესტო აქციის მონაწილეების, მათ შორის საეკლესიო მამების სისხლის სამართლის კანონით დასჯას. თუ წარმოგიდგენიათ, როგორი საპასუხო ქმედებები მოჰყვება საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების გაუზარებელ ნაბიჯებს, თუ ვინმე თუნდაც ერთ სასულიერო პირს შეეხება. მაშინ ხომ ამ სიმახინჯეთა დაცვით აღშფოთებული ხალხი იქ მიაჭყლიტავს საზოგადოებისათვის აბსოლუტურად გამოსადეგარ ხორცმეტ ჰომოსექსუალებს და ლესბოსელებს, სადაც დაიჭერს! დაფიქრდით ამაზე!

ქართული კაროლია ქათამ ანუელას ჩაროზით

მეცხრამეტე საუკუნის გამონჩენილი იტალიელი ფსიქიატრი ჩეზარე ლომბროზო შეურაცხად და დიდი ოჯახიდან ე.წ. ინტელექტუალურ მატოლებს გამოყოფდა; გულქვა, უმოწყალო, უტიფარ, ინფანტილური ეგოისტებს, რომლებიც ფიზიკურადაც გამოირჩევიან: თვალვპარპადა, მოკლეხელება, კურდღლისტუნა, ენაბლუ, ვიწროშუბლა, ცხვირიფხანია... უყვართ ალგუნებული დაეობა და ხშირად გვეკვლინებიან სექტების დამაარსებლებად, ან პოლიტიკურ ლიდერებად (იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნად გარკვეული დროით პოლიტიკური კრიზისი სუფევს). შესუსტებული აქვთ რეალობის აღქმის უნარი. უყვართ ტრახახი. მიდრეკილება აქვთ გაუკუღმართებული სექსის და დანაშაულის ჩადენისადმი. არ გააჩნიათ სირცხვილის გრძობა და დრამატიკური რწმენა. მატოლობა თანდაყოლილია.

მეზის შესახებ. აშკარად ჩანდა, რომ ყალბი პათოსით, ეგზალტირებით, ექსტიკულაციით თავიანთ კუმირს, მაგარ მიშას ბაბაგუნენ, რომელმაც ამასწინათ ყვარლევებს ადღეგომა მიულოცა და თეოლოგიაში დრმად განსწავლულს კაბიტუსით აღდგომა შეაფასა როგორც სიკვდილის სიციველზე გამარჯვება!!! ამგვარი მოუნანიებული მკრეხელობა პირველად საქართველოში ითქვა, და არა მარტო საქართველოში, ალბათ მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ნამდვილად, ბინების წიბნშია შხსატანი! წმ. ათანასე დიდის მოძღვრებით “უფლება ცხოვნების უმთავრეს ნიშნად ცნო გამოცხადებისა აღდგომა თავისი სხეულისა, რათა ამით ეჩვენებინა ნიშანი სიკვდილზე გამარჯვებისა...” აღდგომა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებაა და არა პირიქით, სიკვდილის სიცოცხლეზე გამარჯვება, მაგარო კაცო!

მგლის თავზე სახარების კითხვა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნაცები იწყებენ სარწმუნოების, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ფარულ თუ ხილულ ომს, ეკლესიების ბოლშევიკური კონით ნგრევა-განადგურებას! იღებენ ისეთ კანონს, რომელიც სატანისტურ სექტებს მართლმადიდებლობას უთანაბრებს! მართლმადიდებლობის დამცრობის ხარჯზე ალაზვეს იეღოვლობა! დაიწყეს უღირსი მღვდელმთავრების მოსყიდვა-გადმობირება, რომლებიც ცდილობდნენ და ცდილობენ განხეთქილების შეტანას წმიდა სინოდში და არჩევნების დროს მრევლს მოუწოდებდნენ ხმა ნაციონალებისათვის მიეცათ! ვინც დაიჯერებს იმას, რომ ამგვარი “საგმირო” საქმეთა ჩამდენი წმ. ილია მართლის გზით მოდიოდნენ და მის გზას გაჰყვებიან, ან თავად მატოვია, ან უნუგეშოდ რეგვენ!

ლობებია. მათი დახარისხება მოძველებულად და ახლად ნონსენსია, სისულელეა! მაგრამ რას გაიგებ მატოვია თავებში რა ჯოჯოხეთური ვულკანი იფრქვევა? მატოვია ფსიქიკის სიდრმისეული ფენების კვლევა მეცნიერთა საქმეა, მაგრამ რიგითი მოქალაქისათვის ცხადზე ცხადია მათი გაცხადებული პოლიტიკური მრწამსი: ლიბერალიზმი და ყბადღებული “დასავლური ღირებულებები”! ფაქტობრივად ეს გახლავთ ეროვნული ნიჰილიზმი! უნდობლობა, სიძულვილი, შიში ყოველივე ეროვნულისადმი, ეროვნული ფასეულობებისადმი! ეს გახლავთ მსოფლიოს უხილაი ხელისუფლების, მასონ-გლობალიზტების მიერ გადაბირებული, მოსყიდული ახალგაზრდა ქართველი აგენტების იდეოლოგია და პრაქტიკული საქმიანობა!

ლომბროზოს თანამედროვე, ფრანგი სოციოლოგი და კრიმინალისტი გაბრიელ დე ტარდი ამტკიცებდა, რომ დამნაშავეობა თანდაყოლილი არ არის, რომ ადამიანი დამნაშავედ ყალიბდება სოციალური გარემოს ზემოქმედებით და წაბაძვის კანონებით.

ილიას გზით “მავალმა” ნაცებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქართველისათვის დეოტაბრევი ილიასეული სამება “მამული, ენა, სარწმუნოება” მიზანში ამოიღეს, დაიწყეს მისი ტოტალური განადგურება.

როცა მატოვები აცხადებენ ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებას (ჩვენ ამ ძალას “ახემოობი” დავარქვით - “ილორი”), ამით ჩქმალავენ, აბიბრუებენ, დაეიწყების უკამურ ბურუსში ძირავენ იმ ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა; სურთ ხალხს დაეიწყონ ეროვნული გმირების მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას უდიდესი დამსახურება სამშობლოს წინაშე, რომლებმაც ეროვნულ მოძრაობას “ახალი ეროვნული” კი არ დაარქვეს, არამედ ილია ჭავჭავაძისეული ეროვნული მოძრაობა გააგრძელეს და დოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს - საქართველომ სახელმწიფო დამოუკიდებლობა მოიპოვა!

ოიკოვობით (ეს ტერმინი ქსენოფობიის საწინააღმდეგო ცნებაა და ეროვნული შემკვირებობიდან განდგომას ნიშნავს) დასწეულებული ლიბერალი მატოვები მონური მორჩილებით ასრულებენ დასავლეთელი “მეგობრების” დირექტივა-მითითებებს, ცდილობენ საქართველოში შექმნან ე.წ. “ღია საზოგადოება”, რომელიც კარს ფართოდ გაუღებს ყოველგვარ სიბილწესა და ამორალიზმს, რომელსაც ძველი ევროპის და ახალი ამერიკის ხალხები გადაგვარება-დაღუპვისაკენ მიჰყავს.

საკმარისია გავიხსენოთ დამოძრაობის მიერ ორგანიზებული 19 აპრილის მიტინგი და დაერწმუნდეთ იმაში, რომ ლომბროზოსა და ტარდის ტიპები დღესაც არსებობენ და კვლავაც იარსებებენ თუ საზოგადოებამ არ დაძლია ქვეყნად არსებული ქაოსი, პოლიტიკური კრიზისი, თუ გიუს გიუსის პერანგი არ ჩააცვენ და დამნაშავე კანონის შესაბამისად არ დასაჯეს (“რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას”. ეკლესიასტე, 8, 10).

ამა-პაპათა სისხლით და ოფლით გაუფენითი მამული ჩინელებზე, არაბებზე, ინდოელებზე... ჩალის ფასად გაყიდეს! ავანტიურისტების წამოწყებული ომის შედეგად მოუღი რეგიონები, ქართული ძირძველი მიწები დეკარგეთ და ათიათასობით ქართველი კაცი სამშობლოში დევნილება აქციეს! ასეულოებით ქართული ისტორიული სოფლები, ისტორიული ძეგლებით და ბაღ-ვენახებით აღიგავა მიწისაგან პირის! ასევე ჩალის ფასად გაიყიდა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები!

რაღ შეეხება სამხედრო-კრიმინალურ სახელმწიფო გადატრიალებას, ამაში ლომის წილი ნაცმოძრაობის ზოგიერთ ლიდერსაც ეკუთვნის, რომლებიც ოციოდე წლის წინ ეროვნულ ხელისუფლებას იარადით ხელში ებრძოდნენ!

როდესაც ნაცმოძრაობა ცდილობს ბარბენულად მიზამოს ეროვნულ მოძრაობას, ამით იბი მის არსს ამახინჯავს. ეს კი პაროდიია, 19 აპრილს საჯაროდ გაცხადებული! ტრიბუნაზე მოვოგმანე ციხის ქათამ ანუელა მაზმანიანის ჩაროზით, რომელიც “ახალი ეროვნული მოძრაობის” სიმბოლოდაც კი შეიძლება მივიჩნიოთ!

მიტინგზე ნაცების ლიდერებმა ჩვეული რიხით ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყება გამოაცხადეს. მომიტინგეებს შეახსენეს და შეპირდნენ: ჩვენ ილია ჭავჭავაძის გზით მოვდივართ და კვლავ ილიას გზით ვივლით!

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნაცებმა ინგლისური ენა ლამის სახელმწიფო ენად გამოაცხადეს! დაიწყო მშობლიური ქართული ენის ჯვარანახული დევნა-დამახინჯება! ინგლისური ენის საყველპუროდ მცოდნეთათვის სამსახურეობრივი კარიერისათვის მწკანე შუკი აინთო! განათლების სისტემაში გატარებული რეფორმებმა არა მხოლოდ საჯარო სკოლებში, არამედ უმაღლეს სასწავლებლებში შეამცირა და შეასუსტა ქართული ენის სწავლების დრო და ხარისხი! “რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ლამპარსა წმიდას” - ეს სიტყვები ნაცებისათვის იგივეა, რაც

კმ. “ახალი ეროვნული მოძრაობა”! გამიგია ახალი ღვინო და ძველი ღვინო! ახალი კარტოფილი და ძველი კარტოფილი! ახალი ტალავარი და ძველი ტალავარი! არ გამიგია ახალი პატრიოტიზმი და ძველი პატრიოტიზმი! სამშობლოს ახალი სიყვარული და სამშობლოს ძველი სიყვარული! ახალი ეროვნული მოძრაობა და ძველი ეროვნული მოძრაობა! სიყვარული, სამშობლო, პატრიოტიზმი, ეროვნული მოძრაობა მარადიული ფასეუ-

დმერთმა შეგარგოთ, ახლებო! გოკებო! აკებო! მაკებო!

თეგბი კუზლავშილი

P.S. არსებობს თუ არა რაიმე საკრალური კავშირი მატოვსა და მის სახელს შორის? თუ სტატისტიკას ვენდობით, ამგვარი კავშირი უნდა არსებობდეს. ინფანტილიზმი და სახელის კნინობითი ფორმები? ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგებისათვის ერთობ საინტერესო საკვლევი თემაა.

ვანო მერაბიშვილის ნათესავების სია, რომლებიც თანამდებობაზე რჩებიან

2013 წლის 21 მაისს ქუთაისის საოლქო პროკურატურამ დააკავა ვანო მერაბიშვილი და ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელთაც მხოლოდ ერთ ეპიზოდში აქვთ წარდგენილი ბრალდება სხელმწიფო ბიუჯეტში ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო პროპაგანდისათვის 5 მილიონი ლარის გამოყენება, რაც 7-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. როგორც იქნა გაირკვა, რომ ხალხზე ძალადობასა და უკანონობაში მხოლოდ ახალაიები არ არიან დამნაშავეები და ქვეყანაში 9 წლის განმავლობაში დატრიალებულ უბედურებებში სხვებსაც მიუძღვით წვლილი. ამის დასტურად ვაჭვევებზე წერილს, რომელშიც კიდევ ერთხელ დასტურდება ვანო მერაბიშვილის სიხარბე და ანგარება და მისი სრული უპატივცემლობა კანონისა და კანონიერებისადმი.

“ნაციონალური” საქართველოს “ნაციონალური ასკოლებების” ბრალდებები ნეპოტიზმის შესახებ სასაცილოა იმ ფონზე, რაც არცთუ ისე შორეულ წარსულში ხახუხუ იყო. უფრო სასაცილოა ის ფაქტი, როცა “ჟურნალისტკა” ირმა ნადირაშვილი სამართლიანობაზე, ობიექტურობასა და პროფესიონალიზმზე საუბრობს და დასაქმებული “ოცნებისტების” ასევე დასაქმებულ ნათესავებს სამუშაო გრაფიკს უმოწმებს. “ნადირაშვილებს” რომ ჰკითხო, “ქართული ოცნება” 6 თვეა, ნეპოტიზმითაა დაკავებული, ძალიან “პროფესიონალი”, მაგრამ “ნაცმაცუნურ” კადრებს პანტაპუნტით ყრბი სამსახურებთან და დროზე თუ არ ამოიღებს ევროპა ან ამერიკა ხმას, მალე საქართველოს არაპროფესიონალები წააღებენ, მხოლოდ “ოცნებისტების” ნათესავები იმუშავენ და დანარჩენი საქართველო მისი ნასუფრალსაც კი ვერ მიუახლოვდება.

საპირისპიროს ამბობენ ექსპერტები და ხელისუფლებას აფრთხილებენ, რომ ძალიან უწყებებში “ნაციონალებს” მრავალდ კვათ ჩანერგილი თავისი ხალხი, რომლებიც საჭირო მომენტში ახლად მთავრობას საბოტაჟს მოუწყობენ.

ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ ნაციონალების “მთავარი სკრიპის” ვანო მერაბიშვილის იმ სანათესაოს სია, რომელთაგანაც უმრავლესობა ისევე ისე მუშაობს ვანოს შემდეგაც, როგორც ვანოს დროს მუშაობდნენ.

აი, ისინი: უენია თუმანიშვილი – ივანე მერაბიშვილის დედა, ახალციხის მეხუთე საშუალო სკოლის დირექტორი (მოგვიანებით მოხსნეს). ქალბატონი უენიას ერთი ძმის, არტემის ვაჟი, თემურ თუმანიშვილი ადიგენის კომისარია, მეორე ძმის, ლევანის შვილი, სტეფანე წლების მანძილზე გენერალურ პროკურატურაში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი იყო. უმცროსი არტემ თუმანიშვილი სამცხე-ჯავახეთის კონტრდაზვერვის სამმართველოს, სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსი იყო. არტემ თუმანიშვილის ერთ-ერთი ნათესავი ედიშერ მღებრიშვილი კი დღემდე დაცვის პოლიციის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსია. სამცხე-ჯავახეთის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, გონა გელაშვილი, მერაბიშვილის ახლო ნათესავის, ნათია მერაბიშვილის ქმარი და მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის, ამირან მესხელის უახლოესი მეგობარია. გონა გელაშვილი ადრე მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში, საგამოძიებო ნაწილში უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. გონა გელაშვილის ძმა, პეტრე კი კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დღესაც მუშაობს. ვანოს ბიძაშვილი, გიორგი მერაბიშვილი სისტემაში დაინიშნა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ბოლოს იყო ადიგენის პოლიციის უფროსის მოადგილე. ვანოს მეორე ბიძაშვილი, დავით მერაბიშვილი “ვარდების რევოლუციის” წყალობით ჯერ ადიგენის რაიონის გამგებლის მოადგილე მუშაობდა, შემდეგ სამცხე-ჯავახეთის შემოსავლების სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო, ბოლოს – სამმართველოს უფროსი. ვანოს კიდევ ერთი ბიძაშვილი, მალხაზ მერაბიშვილი “ვარდების რევოლუციის”

შემდეგ დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის სამეურნეო განყოფილების უფროსად, სადაც “ვარდოსნების” ბოლო ამოსუნთქვამდე მუშაობდა.

ვანოს დედაშვილი, არსენ ბალახაშვილი სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციაში დაინიშნა ვანოს მინისტრობის დროს, სადაც დღემდე მუშაობს პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე. ვანო მერაბიშვილის მეორე დედაშვილი, მამუკა თუმანიშვილიც “ვარდების რევოლუციის” შემდეგ გახდა “პოლიცემისტერი”, ის სხვადასხვა დროს მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსად, შემდეგ შიდა ქართლის სამმართველოში გადაიყვანეს, ამჟამად კი მუშაობს სამცხე-ჯავახეთის საპატრულო სამმართველოს მონიტორინგის ჯგუფის პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე. ვანო მერაბიშვილის სესხია და ბიძაშვილი, ივანე მერაბიშვილი მუშაობს საპატრულო პოლიციის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოში, ვალეს გამშვებ პუნქტზე სასახლეო პატრულში ცვლის უფროსად. სესხია ივანეს ბიძა, ვაჟა ობოლაშვილი სასახლეო პატრულის მეორე სამმართველოს კადრების განყოფილებაში მუშაობს. ვანოს ნათელი, მალხაზ ცუხიშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ახალციხის რაიონულ პროკურატურაში, შემდეგ ფინანსურ პოლიციაში, ამჟამად მუშაობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სადსრულებო ბიუროს უფროსად. ვანო მერაბიშვილის ნათელიმონი, სამცხე-ჯავახეთის ყოფილი საოლქო პროკურორი დავით ნარიშკაშვილი გურჯაანის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეა.

ვანოს ბიძის, არტემის ბიძაშვილი დავით მაისურაძე (აღმაღა სწორედ ამიტომ აიღო მერაბიშვილმა ვალბი პასპორტი ლევან მაისურაძის სახელზე, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მალულად დაეტოვებინა ქვეყანა. უეჭველია, რომ ეს საჭიროება მას აღარ დაუდგება, რადგან უკვე ციხეშია – “ილორი”) “ვარდების რევოლუციის” შემდეგ დაინიშნა ახალციხის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმად. ვანოს ცოლის, თაკო ხალაყაიას ბიძაც (დედის ძმა) “ვარდების რევოლუციის” შემდეგ “აგვაგდა”, ჯერ შემოსავლების სამსახურში დაინიშნა, შემდეგ შემოსავლების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსის მოადგილე გადაიყვანეს, ბოლოს შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ აპარატში ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე მუშაობდა. არტემ ბიძის ნათესავის ცოლი, ინგა პაპიძე სამცხე-ჯავახეთის კონტრდაზვერვის სამმართველოს ოპერმუშაკია. ვანოს ნათესავია გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის ახალციხის ფილიალის უფროსი. ვანო მერაბიშვილის ბიძაშვილის, შორენა მერაბიშვილის ქმარი ზაად ტაბატაძე “ვარდების რევოლუციას” მოჰყვა “შვითვად”, ბევრგან იმუშავა თუ ამუშავებს და ახლა ძველი თბილისის სამმართველოს მეოთხე განყოფილების (დაბა წყნეთი) უფროსის მოადგილეა. ვანო მერაბიშვილის კიდევ ერთი ბიძაშვილი, ვასილ მერაბიშვილი სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორია. ვანოს სიძე, ბიძაშვილის ქმარი, იოსებ გიქოშვილი სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ჯგუფის ინსპექტორია. ვანოს კიდევ ერთი ნათესავი, ამირან აფრამაშვილი საპატრულო პოლიციის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს მონიტორინგის ჯგუფის ინსპექტორია, ხოლო ვანოს ბიძაშვილის, დავით მერაბიშვილის სიმამრი, გელა სარიშკაშვილი სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსის მოადგილეა.

ახლა კი გთავაზობთ იმ ბიზნესმენების სიას, რომლებმაც ივანე მერაბიშვილისა და ამირან მესხელის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ბიზნესსაქმიანობა წამოიწყეს და “ნაციონალთა” მმართველობის პერიოდში უშუალოდ იყვნენ მათი მფარველობის ქვეშ.

საქართველოში “ვარდების რევოლუციის” შემდეგ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ლიდერებმა, მათ შორის ექსპრემიერმა და შინაგან საქმეთა

ყოფილმა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ამირან მესხელმა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მიზნით შეარჩიეს ახლო მეგობრები და ნათესავები, რომლებთან ერთადც შექმნეს ესა თუ ის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კავშირები, ერთად დაიწვეს სამცხე-ჯავახეთის მხარესა და სახელმწიფოში ბიზნესსაქმიანობა, სადაც ოფიციალურად ასახეს მხოლოდ ბიზნესმენების ფილოზოფი მონაცემები, ხოლო თითონ არაოფიციალური გზით იღებდნენ შემოსავლებსა და მფარველობას უწყვეტ მათ ბიზნესსაქმიანობას. ესენია:

ლუხუშ ბიორბის ძე პაპანაძე, მცხოვრები ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში. ლუხუშ კაპანაძე წილებს ფლობს:

- შს “ნიუ-ენერჯი” – 70%;
- შს “ხოხობი” – 50%;
- შს “ბათფარმა პლუსი” – 50%;
- შს “ჯჯ გრუპ” – 25%;
- შს “საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი”, საწარმოს 100%-იან წილს ფლობს მისი პარტნიორი ფირმა შს “XXI საუკუნის ევროპის საინვესტიციო ფონდი”, რომლის დამფუძნებლებიც არიან ლუხუშ პაპანაძე, თეიმურაზ ნიკოლიაშვილი, ირსებ დომეშვილი;

შს “უღვეი ტერმინალი” – 28%;
- შს “შვიური ველი” – 100%-იან წილს;
- შს “შვიური საქართველო” – 50%.

შს ბიორბის ძე პაპანაძე, ლუხუშ პაპანაძის ძმა, მცხოვრები ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში.

შს პაპანაძე წილებს ფლობს:

- შს “ხოხობი” – 10%;
- შს “ბერტა” – 57%;
- შს “ბარამბო” – 22,5%;
- შს “აღ.ქე” – 40%;
- შს “ბიგო” – 10%;
- შს “კრისტალი” – 50%.

რამაზ კონსტანტინეძე ძე თეიმურაზი, მცხოვრები ქ. ახალციხეში, 9 აპრილის ქ. №21 ბ-ში. რამაზ თეიმურაზი წილებს ფლობს:

- შს “კორიმი” – 100%;
 - შს “ტრანს-სერვისი” – 80%.
- ბორა ნიკოლოზის ძე კურტანიძე, მცხოვრები ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №28-ში. ბორა კურტანიძე წილებს ფლობს:
 - შს “უჩაღი” – 100%;
 - შს “ხოხობი” – 20%;
 - შს “აღ.ქე” – 20%;
 - შს “ვია-ესტ-ვიტა” - საზოგადოების დირექტორი.

კავშირი “კლდე” – ბ. კურტანიძე არის როგორც დირექტორთა, ასევე დამფუძნებელთა სიაში და წილები ასევე გადანაწილებულია:

- შს “თავისმზეფალი” – 100%;
 - შს “ბიგო” – 30%;
 - შს “ქარ-თრედი” – 10%;
 - შს “კრისტალი” – 50%.
- ბიორბი ნიკოლოზის ძე მესხელი, მცხოვრები ახალციხეში, ფარნავაზ მეფის ქ. №31-ში.

ბიორბი მესხელი წილებს ფლობს:

- შს “სატელაიტი” – 100%;
- შს “სპექტრი” – 25%;
- შს “ბერტა სამცხე-ჯავახეთი” – 100%.

დავით ჯონკვალიძე, მცხოვრები ქალაქი ახალციხეში, პ. ნათუნაძის ქ. №51-ში.

დავით ჯონკვალიძე წილებს ფლობს:

- შს “ლუმინესი” – 25%;
- შს “ტბა-2012” – 67,5%.

სამშველ ახატის ძე აბიპიანი, მცხოვრები ქ. ახალციხეში, მერაბ კოსტავას ქ. №53, ბინა 5-ში.

სამშველ აბიპიანი წილებს ფლობს:

- შს “მეგა” – 100%;
- შს “ბერიკა-96” – 50%-ს;
- შს “ბუნება” – 100%;
- შს “აეს” – 100%.

შს “ვილა-ბუნება” – 10%.

6. სამხარაძე მ. მიუზაროშვილი

გაზეთ “ილოროს” რედაქციისაგან: ამას წინათ პირწავარდნილმა დამნაშავე ვანო მერაბიშვილმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით

მოუწოდა ივანიშვილს, რომ არ დაუშვას ქვეყანაში კორუფციის აღორძინება. და ამას ამბობს ადამიანად წოდებული არსება, რომელიც “გაღლეტილად” მოვიდა ხელისუფლებაში და სწორედ კორუფციითა და ბიზნესმენების პარცვა-გლეჯით იშოვა მილიონები. დიახაც, ადრე მან გაპარცვა სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, წესიერებითა და ცოდნით გამორჩეული დავით კირვალიძე, სხვა თანამდებობის პირთა მსგავსად (ჩხაიძე, რჩულიშვილი, მირცხულავა და სხვა მრავალი) მასაც გამოსძალა დიდძალი თანხა, რაც ვალად აიღო კირვალიძემ და წლების განმავლობაში იხდიდა ამ ვალს. საზოგადოების აზრით დავით კირვალიძის მიერ საკუთარი უფლება-მოხილების გამოძიების დასრულებამდე შეწყვეტა გახლავთ პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და პირადი თავმოყვარეობის კლასიკური ნიმუში, რაც დღემდე არ გაუკეთებია არცერთ ნაციონალ თუ არანაციონალ მაღალი თანამდებობის პირს. მაგალითად, ბუნებრივი რესურსების ყოფილ მინისტრს გოგა ხაჩიძეს არ უფიქრია გადადგომაზე მაშინ, როცა მისი სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. გადადგომაზე არ უფიქრია არც ენაბლუ და ჭკუადრჯე ვანო მერაბიშვილს, როცა რუსთაველზე მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლი დაღვარა. პირიქით, ამ არაკაცმა 19 აპრილს მიტინგი მოაწყო რუსთაველის გამზირზე, რათა კიდევ ერთხელ ეყნოსა მის მიერ დაქცეული სისხლის “სურნელი”. დაუსჯევლობის სინდრომით გათავსებული ეს ნაძირალები ანგარების “ბუკეტებად” იქცნენ, დღეინადავ მხოლოდ მიხილ სააკაშვილისა და საკუთარი მუცლების ამოყორვანზე ზრუნავდნენ და ამგვარი “მარტივი” მიზეზების გამო საკუთარ საღაფავს ასე იოლად არ მოშორდებიან.

მერაბიშვილი კი ალბათ იმიტომაცა გამწარებული, რომ დიდი ფულის შოვნის ბერკეტი ხელიდან გამოეცალა, თავად დამსახურებული სასჯელის მოლოდინშია, დედამისი კი სკოლის დირექტორის თანამდებობიდან მოხსნეს. ამიტომაც არის მიუღებელი და ცინიკური ნაციონალი არამზადების მიერ ატეხილი ხმაური ახალ ხელისუფლებაში ფესვაგდგმულ ნეპოტიზმსა და კორუფციაზე!

ჯიბიდან გაგარდნილი არამზადა, პირწავარდნილი კორუფციონერი, მკვლეელი და ბანდიტი ვანო მერაბიშვილი რომ სხვას ბრალს დასდებს კორუფციაში, ნუთუ მართლა არ არის ღმერთი და სამართალი დედამიწის ზურგზე? ამ სისხლისმსმელმა ქვეყანას ლამის თავი წასჭამა იმის ძახილით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ტრაქტორების შეყენებისას ერთი მილიონი ევრო გაუფლანგაო, მაშინ, როცა ნაცი არამზადები მილიონებს თითო “პაეხდეკაში” ხარჯავდნენ პარლამენტარ თუ საპარლამენტარე დიაცებთან დროსტარებისას! აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილის მიერ მართლაც გაფლანგულ მილიონებზე, რომელიც როგორც მისი შვილის სწავლას, ასევე, კბენით მასალებს თუ სხვა ავადმყოფურ ახირებებს ხმარდებოდა. ისიც არაინ იცის, როგორ ხარჯავდნენ ხალხის ჯიბიდან ამოღებულ მილიონებს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და თბილისის მერი გიგი უგულავა.

ესენი ხომ ის ხალხი არიან, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, საკუთარ თვალში კი დირეს ვერ ამჩნევენ!

სირცხვილის განცდა ნივთი არ არის, რომ თუნდაც დიდ ფულად შეიძინო – იგი დაბადებულად უნდა დაწყვეს ადამიანს. ამიტომ, ნუ მოვთხოვთ სააკაშვილს და მის ნაციონალებს იმას, რაც მათ არასოდეს ჰქონიათ!

საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ენას ძვალი არა აქვს, ნაციონალებს კი სინდისი! მართლაც რომ ციხეშია მათი ადგილი და, იმედია, მალე ვიხილავთ სააკაშვილსა და მის ნაცნობრალეებს გლდანის ციხეში – ცოცხებით “დამშვენებულებს”.

გზაც იქით ჰქონიათ!

ტერენტი ბრანელი — 116

ინდოეთის დიდი მოაზროვნე და სულიერი მოძღვარი ვივეკანანდა ამბობს: "რა ამდენი სალაპარაკოა ეს ხორციელი სიმამაცე, გამოავლინეთ სიმამაცე ადამიანსა, ვინც სიხარულით ეგებება სიკვდილს, ამტკიცებს, რომ ის არის სული და რომ სამყაროში არ არსებობს სულები, რომელთაც ძალეუბნის მისი მოკვდინება და მე გადღარება, რომ ის - ჭეშმარიტი სულია. დაიხ, სულია გამგებელი ხორციელებისა, სულია წინამძღვარი ხორციელ მოქმედებათა, სულია, ხორციელების ჭურჭელში შემწყვედველი, რომ მეუფებს ხორცსა და არა ხორცი - სულს, ვისი სულიც ზიარებულია ღვთაებრივ ძალებს, იგი იმარჯვებს ცხოვრების გრძელდებაში, წარდგენს წყვდიადს, აჩოქებს ბოროტულ ძალებს და აიძულებს ქედი მოუხარონ მის სულიერ სიწმინდეს".

ტერენტი ბრანელის სული ღვთაებრივ ძალებს იყო ზიარებული. მთელი მისი ცხოვრება აღბეჭდილია სულიერი სიმამაცით, სულიერი თავგანწირვით და მაგალითია იმისა, თუ შემოქმედმა, თუ კი იგი ჭეშმარიტი შემოქმედია, როგორ უნდა გასწიროს ყოველივე პირადული, როგორ უნდა დათმოს ყოველივე მიწიერი და წარმავალი, როგორ უნდა ანაცვალოს ხორციელი ცხოვრება იმ უმაღლეს საკურთხეველს, რასაც სახელად პოეზია ჰქვია. რა შეიძლება ამაზე მეტი სულიერი განძი კაცმა დაუტოვოს თავის ერს? არაფერი! სწორედ ეს თავგანწირვაა ასე მაგიურად რომ გვიხიდავს ჩვენ - ტერენტი ბრანელის შთამომავლებს, ეს თავგანწირვა კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ადევლებს შთამომავლობას.

ასეთი თავგანწირვა ზოგჯერ გვაოცებს და სიუცხოვის განცდას ბადებს, ზოგჯერ აღმაცერად, იტყვიან ვუყურებთ, ზოგჯერ თვალსაც კი ვარიდებთ, გვეშინია თვალეში ჩახელოთ სინამდვილეს, ღრმად ჩავისხედოთ სულიერ ტანჯვაში, რადგან ეს ტანჯვა თანადგომას, სულ მცირე თანადგომას მანც ითხოვს, რისი ძალაცა და ნიჭიც ხშირად არ შეგვწევს ადამიანებს. სიმართლე უნდა ვთქვა, და ეს ფაქტია: ტერენტი ბრანელის თანამედროვე ეპოქას არ ეყო ძალა არათუ თანადგომისა, თანადგომისაც კი. ცხადია, მე არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც თანადგომიდან შეძლებისდაგვარად, თანადგომიდან კიდევ პოეტებს, ასეთი ადამიანები, ღვთის წყალობით, ყოველ ეპოქაში იყვნენ, ასეთი ადამიანები უფრო ხილდებოდნენ სათუთად ერის სულიერ განძს. ასეთმა ადამიანებმა იხსნეს დაიწყებისგან სახელი და ვერაძი შეიღობა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ნიკო ფროსმანაშვილისა. რომ ამ ადამიანთა მადალი შეგნება არა, იქნებ ტერენტი ბრანელის სახელიც ისე გამკრთალდეს მახსოვრობიდან, როგორც არაერთი დიდი ადამიანის სახელი გაქრა მატინანთა ფურცლებიდან. თუმცა ეს ყოველივე დროებითია. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს, ჭეშმარიტება პატარა ციციანთელასავითაც კი ანათებს წყვილად. და დღეს ტერენტი ბრანელს მთელი ერთი თანადგომის, მთელი ერთი თანადგომის მის ჭეშმარიტად მოწამებრივ ცხოვრებას.

ტერენტი ბრანელს უმძიმეს და ურთულეს ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. კატაკლიზმათა ქარტყილებში იჭრებოდა მისი სული, მაგრამ ერთი წამითაც არ შერყევდა - ტანჯვით და ღირსებით განვლო ბეწვის ხიდი. სრულიად უმნიშვნელო შეცდომა, გადახრა რწმენიდან და შეიძლება დაღუპულიყო, კუპრის ზღვაში ჩაკარგულიყო. ბეწვის ხიდზე მის სვლას უფლის იღუმალი ხელი განაგებდა. ალბათ გულწრფელი იყვნენ ტერენტი ბრანელის მტრები, როცა ამბობდნენ: "ეპოქა სხვა გზით მიდის, ტერენტი ბრანელი კი სხვა გზით". ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მათი ხედვის თვალსაწიერი სხვა იყო. ტერენტი ბრანელი კი სრულიად სხვა თვალსაწიერს გაცხადებდა. ტერენტი ბრანელის განსასჯელად ნათქვამი ეს ბრალდება, დღეს ჩვენს თვალში მხოლოდ ამაღლებს პოეტს. ეს დრომ დაადასტურა. ეპოქა სხვა მოთხოვნებს უყენებდა შემოქმედს, და ვინც ამ

მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა, მას სასტიკი ანათება და ექსორია ელოდა. ხოლო ეს უმძიმეს ხვედრს განუძაღვებდა ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს. ტერენტი ბრანელსაც მიიმე, ტრაგიკული ხვედრი არ-გუნა ბედმა. მაგრამ მისი სული ღვთაური მადლის წყალობით, წმინდად და უბიწოდ გადაარჩა. მის სულიერ მარტვილობას ამოღო არ ჩაუვლია. ტერენტი ბრანელია გაიმარჯვა. როგორც მხის სხივის ჩამწყვედვა არ შეიძლება დახშულ ჭურჭელში, ისე სულიერი სინათლის ჩაქვტვა არ შეიძლება არანაირ შემოსახვედრულ ჩარჩოებში. მისი ტანჯულ ცხოვრების გზა იყო პიროვნული ამაღლების გზა. ამ ამაღლებას შესწირა ყველაფერი, სიცოცხლეც კი, და იხსნა სული წაწყმედისაგან. ასეთი მძიმე ხვედრის ზიდა დადი პიროვნებების ხვედრია, ხოლო დიდი პიროვნებები არ იქნებიან, იბადებიან. ტერენტი ბრანელის ცხოვრებას, მის შემოქმედებას ამიტომ აზის მძლავრი პიროვნულობის ბეჭედი. ეს პიროვნულობა კი ღვთაური ბედისწერით იყო განინებული. ბედისწერამ დაბადების-თანავე შეახო თავისი იღუმალი კვერთხი და წინასწარვე შეაგრნობინა საკუთარი ხვედრის ტრაგიკულობა, იმ ხვედრისა, სინათლედ რომ უნდა ჩაღვროდა მომავალში ადამიანთა გულს, მიენჭებინა მათთვის სულიერი განწმენდის ძალა. მწამს: მომავალ საქართველოში, როცა კი ტერენტი ბრანელს გაიხსენებენ, მოიგონებენ მის ცხოვრებას, წაიკითხავენ სისხლით ნაწერ მის წიგნს, ადამიანები ღრმად ჩაფიქრდებიან, ერთი წუთით მაინც მოწყვდებიან წარმავალ ყოფიერებას, დაეუფლებათ ცოდვითაგან განწმენდის სურვილი, ერთმანეთისადმი მოწიწების გრძნობა, დაადგებიან გაადამიანების ქრისტიანულ გზას.

ტერენტი ბრანელისათვის სამი მცნება იყო მთავარი: ერთი, პოეზია და ქრისტიანობა. ეს სამი გრძნობა ისე ერწყმოდა ერთმანეთს, როგორც ქართული ვაზი, ქართული საგალობელი და ქართული ნუქურთმა ერწყმის ერთმანეთს. პოეტი დაკომული ფსიქიკით, იმანენტურად ატარებდა თავისთავში ერთი ტრაგიზმს, როგორც ძე და ნაშვილი ამ ერისა, ატარებდა და ვიდრე მის ტრაგიკულ ხვედრზე. მაგრამ ტერენტი ბრანელის ღირსება ის არის, რომ მან ეს ტრაგიზმი ჭეშმარიტი პოეზიის ხარისხში ადამაღლა, ეროვნული ხვედრი საერთოდ ადამიანურ ხვედრსა და მიუხაფრობას ახიარა. ქართველი ერთი თუ ამასიმეობი ბუნებით დიონისური, რამაც, ვინ იცის, იქნებ იხსნა კიდევ ერთი ისტორიული ავბედითობისაგან, ამავე ავბედითობამ მასში აპოლონური საწყისის ღრმა ფესვებიც გადგა. ქართველში ამიტომ ებრძვის ყოველთვის დიონისური აპოლონურს, ხოლო აპოლონური - დიონისურს, სიხარული - მწუხარებას, ხოლო მწუხარება სიხარულს, ისინი ერთად სახლობენ და მტრობენ ერთმანეთს, უერთმანეთოდ მაინც არ შეუძლიათ. ამ ფსიქიკის ღრმა ბეჭედი, ცხადია, ტერენტი ბრანელსაც აზის. იგი განუწყვეტლივ ირხვეს მწუხარებასა და სიხარულს, მოწყენასა და ექსტაზს შორის, გამუდმებით ეძიებს მწუხარებიდან ამოსავალ გზებს, მშვიდ ნავსაყუდელს, ეძებს მკვიდრ სამკვიდრებელს. ნიკო ფროსმანაშვილის პიროვნებაში, მის მხატვრობაში ეს ორი საწყისი ისეა ერთმანეთში გაკავართული, ძნელად გაარჩევს კაცი: სად იწყება ექსტაზი, სულის ზეიმი, ღვთაებრივი უქმობა და სად მთავრდება მოწყენა, პანაშვიდი, სადაგობის ერთსახოვნება. შემთხვევით არ მიხსენებია ნიკო ფროსმანაშვილის სახელი. გასაოცარი მსგავსებაა ამ ორ შემოქმედს შორის, ისინი ერთმანეთის ხვედრს იზიარებენ არა მარტო ტრაგიზმით, არამედ შემოქმედებითი ბუნებით, სულიერი ფსიქიკით, სამყაროს აღქმით, პიროვნული ცხოვრებითა და სიცოცხლის საბედისწერო დასასრულითაც კი. ერთი აღმოსავლეთშია შვა, მეორე - დასავლეთშია. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს ორი საწყისი - აპოლონური და დიონისური - ქართველთა ეროვნული ფსიქიკის საფუძველი გახლავთ. სწორედ ამ სა-

ფუძველზე იშვა ტერენტი ბრანელი, ამ საფუძველზევე აღმოცენდა მისი ფსიქოლოგია.

ტერენტი ბრანელისათვის პოეზია უმაღლესი გამოცხადება იყო, ანარკელი შემოქმედისა, რისი ძალითაც ამყარებდა უხილავ კავშირს ადამიანსა და უხენაგს შორის, წარმავალში წარსულს ჭერებდა, წამიერებაში - საუკუნოს. პოეზიის გრძნეულება იყო მისთვის, სულის იღუმალი ახსნა, მოწამებრივი ტანჯვა მოწამესი, ქრისტეს სისხლივით რომ მოწვეთავს სპეტაკ პერანგზე. მან პოეზიას რელიგიური ექსტაზისა და აღსარების, რელიგიური კათარზისის ძალა მიანიჭა, ღოცვის ხარისხამდე ადამაღლა. ტერენტი ბრანელის პოეზია ამიტომ არის რელიგიური რწმენით ბეჭედიანსული, ამიტომ გვაჯადოვებს და გვატყვევებს, სულიერად გვწმენდს და გვაძაღვებს ყოველივე მიწიერზე. მისთვის პოეზია ის ზებუნებრივი, არამექვეყნიური, ღვთაური ძალა იყო, რითაც სურდა შეეცნო უსახვედრობა, მარადისობა, სულის უკვდავება, შეეცნო სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება. შეცნობის ამ დაუცხრომელ, მსასოფარ მოღვაწეობაში იგი ჰგავდა იმ ტირიფს, ავღარ-გრივადში დარწმუნო იმის ტოტემიკ ქვეყნიერების ხან ერთ კიდეს მიეხლე-ბოდნენ სახსნელად, ხან მეორეს, ხან ზეცისკენ აღმართავდნენ ტოტებს, მლოცველი აღმარებულებით, ხანაც მიწას განერთხოდნენ, იმედგადაწყვეტილი სიკვდილიმსჯილივით. მისტიკური თვითცნობიერებით იტვროდა ყოფიერების, საკუთარი მის შეცნობას, როგორც სამყაროული სულის გამოხატუბასა და ანარკელს, ეძიებდა უხილავ მესამე გზას და მისტიკოსის შეურყვეველი რწმენით სწამდა მისი არსებობის. ეს ძიება პოეტური მეტაფორა არასოდეს ყოფილა მისთვის. როგორც ქანცაწყვეტილი მეუღ-აბნოე პილიგრიმი ეძებს ვრცელს უდაბ-ნოებში თაზისს, მწყურვალი გული რომ დაირწყულოს და იხსნას თავი დაღუპვის-აგან, ასე ეძიებდა იგი მისტიკურად გან-ჭერებულ მესამე გზას, რომელიც დაიხსნოდა ადამიანს დაღუპვისაგან, სადაც სული თავისუფლად იქროლებდა შეუხლე-დავ და უგანხომილებო სიერცეებში. ამიტომ ცდილობდა ხორციელი და მიწიერი სამყაროებისაგან, სიკვდილ-სიცოცხლის აპოკალიფსური შიშისაგან თავდახსნას და მესამე, იღუმალი ზეყოფიერების დაუფლებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მესამე გზით პოეტური კონცეფცია უნიკალური კონცეფციაა და იგი ტერენტი ბრანელს ეკუთვნის.

ტერენტი ბრანელი ჭეშმარიტად ღმერთად, თუ ვერწმუნებით სულთა გამოცხადების მისტერიას, ტერენტი ბრანელის სული ალბათ დღეს ჩვენთან ტრიალებს და სულ-განაბული გვისმენს, იქნებ იღიმება კიდევ, იქნებ ტირის, იქნებ ის სხვაგვარად ფიქრობს, ვიდრე ჩვენ ფიქრობდით, ფიქრობს და იღუმალი ხმით გვამცნობს:

მოწყენა მოსდევს ამაირ ავღარს, მე ზომ ვიგრძენი მთელი სამყარო, მინდა მივიდე დედის საფლავთან, და იქ უმანკო ცრემლი დავდგარო. გული სხვაგვარად უნდა ამღვრდეს, მე სხვა ცოდვები უნდა მეზიდა, და საქართველო ასე მამფრთებს პოეტს, წამოსულს მადალ ზეციდან. ისე მწყურია მინდვრად გარება, და მენატრებს წვიმა სოფლის, ეს ჩემი სევდა და მწუხარება, დარჩება მარად შეუცდომელი.

ლერი ალიმონაპი, მწერალი

ტერენტი ბრანელი მისივე თანამედროვეთა თვალით

"ჩვენ თანამედროვეობა მისტიკის სანიშნოს უყურებს. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტის საოცარის გამბედაობით გამოცემულმა წიგნაკმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: "ტერენტი ბრანელი მთელს სისხლიან სამარობან..." ჩვენ დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიან სახის დემონური შემოხედვა. ეგროპი-ულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდა-

ტეხა, რადიკალიზმიდან მარჯვნივ ფილოსოფიის მისტიკა იმარჯვებს. პოეზი-ასაც მისტიკური ქროლა ეუფლება. ახალ-გაზრდა ტერენტი ბრანელი სიმპტომატურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლებია, დიდი მტყუნვარება, დიდი სევდა, გაუხარელ ნაღველში გამოხრდილ თაობის. სტრიქონები აქა-იქ სვედნიან, როგორც ცოდვილი ქერუბიმების თეთრი ფრთების შრიალი.

ეს წიგნი უახლოეს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა, მას ჩვენ თავის დროზე ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ.

საოცარი მატერიალური სიღარიბე ეტე-ობა წიგნს, მაგრამ ეს აორკეცებს იმ ცრემ-ლიან მტყუნვარებას, რომელიც ასე ძლიერად ჰქრის ამ მინანქრის სტრიქონებიდან".

კონსტანტინე ბამსახურლია

"როილის ხმა, წვიმის წვეთები, ცხოვრე-ბის სუსხი, საღამოს ნისლი - ყველაფერი ტერენტი ბრანელის შემოქმედებაში სიშორესა და მარტობაზე მღერის: საწყალი და საცოდავია წუთისოფლად ადამიანი - გვეუბნება ტერენტი ბრანელი. მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ თქვენ უსათუოდ იგრძნობთ ერთგვარ სიყვარულს საერთოდ ადამიანისადმი, ადამიანისადმი, რომელიც ჩაკარგულია უსახვედროებაში და რომელსაც საშინლად სწყურია მარ-ადისობა".

კონსტანტინე კაპანელი

"...მიღტვის, მისდევს მიუწვთომელ მის-აწვთომელთა და ვედარ ჰხედავს თვის გარშემო დამორგუნველ ყოფას.

და დაეძებს თვის საძიებელს მარად, ყოველგან: ყაბახზედ თუ ორღობეში, ტყე-ღრეში, ყოვლად, თასის ძირზედ, კათხის ფსკერზედ, ყანწის ჯურღმულეებში, მიდ-მოდის, დაძრწის თავშიშველი, თმაბურძენული, ფეხშეუმოსი. ნათხოვარი გვაბანაკი ჩამოქმედილი. ბეგრჯერ მშვიერი, ხან გამაძლარი. ვერ დასთმობს იგი ამ ძიებას აღსასრულამდინ!

- და ჰპოვებს იგი?

- არ მოაკლებს შემოქმედი განცხადე-ბათა, შეაძლებინებს უჯნობ ყვაილთ უხვად მოკრებას, რომ მოუფონოს ბნელში მავალთ გზა ცხოვრებისა".

ზასინ ბარნოზი

"ტერენტი ბრანელი სანთელივით იწვის პოეზიისათვის. არ შეიძლება ამ ალმა ცეცხლი არ გააჩინოს".

ტიციან ტაბიძე

"ტერენტი ბრანელის პოეზია მუსიკაა მისი სვედიანი სულია. მელოდია ამ მუსიკისა სრულიად არის გამართლებული პოეტის შემოქმედების მთელი შინაარსით".

ივანე ბომარტიელი

"მე არ მეგულება უფრო დიდი მისტი-კოსი პოეტი, ვიდრე ტერენტი ბრანელია. "მე ისევე ვსდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მელოვიარე სერაფიმი, და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამისხნის მე განსაცდელისაგან. მე მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე, მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით: მე მინდა გაფრენა. მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი. ჩარჩენილი ვარ ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა. არა სიცოცხლე არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა". არც ერთ მისტიკოსს ამაზე თამამი სიტყვა არ უთქვამს".

შალვა ნუცუბიძე

"ტერენტი დიდად ამაყი იყო და თავის-თავში ღრმად დარწმუნებული პოეტი. რასაც წერდა, სულის კარნახით წერდა, გულიანად წერდა, ეწერებოდა და წერდა".

სერბი ჰილიაია

"საკუთარი ხელწერითა და სტილით გამოირჩევა ტერენტი ბრანელი ქართულ პოეზიაში. მისი გამორეზა შეუძლებელია".

ლადო გულიაშვილი

დიდი გაურკვევლობა საქართველოს სახელთან დაკავშირებით

“გერ“-ის მთხრობა

– “გერი” მეგრულად ნიშნავს მგელს და აქედან მომდინარეობს საქართველოს უძველესი სახელი “გერისი” - “ეგერისი” - “ეგერია”, ანუ მგლის ქვეყანა. მგლის კულტი და საკუთარი ქვეყნის მგლის ქვეყნად წოდება უძველეს ქართულ ტრადიცი- აში დასტურდება (ამას თრიალეთის თასზე გამოხატული მგელკაცებიც ადას- ტურებენ). მგელი არის პირველი ცხოველი რომელიც ადამიანმა მოაწინაურა და ძალდა აქცია. მგელი (ძალი) მიწათმო- ქმედი ადამიანისთვის საუკეთესო მოკავშირე იყო ჩლიქოსანი ცხოველების- გან ყანის დასაცავად. ამასთანავე მას შეე- ძლო ყვეფით გაფრთხილებინა პატრონი მომთაბარე ტომების მოულოდნელი თავდასხმის დროს. მგელი ამასთანავე იქცა უმაღლესი ღვთაების ტოტემად და სიმბოლოდ, დაახლოებით ისე როგორც ქრისტეს სიმბოლო იყო თეხი. სვანურად “გერბუ(ეში)” ღმერთს ნიშნავს და აქედან უნდა იყოს მიღებული მერნაირი ფორმაც “ღერმეტიც”. საქართველოში ქრისტიან- ული რელიგიის შემოსვლის შემდეგ უმაღ- ლესი წარმართული ღვთაება გაიფიქრა წმ. გიორგისთან. მეგრულად წმ. გიორგის ქვია “გერგე”. სახელი “გერგე” წინარე ვარი- ანტად ზოგი მიიჩნევს სახელ “გერგის”. “გერგოს” კი ბერძნულად აგრეთვე მი- წათმოქმედს ნიშნავს. “გერგეს” ვარიან- ტები: “ჯგერაგი”, “ჯგერაგი”, “ჯგერე”, “ჯგერე” და “გგერე”. ამ ღვთაების წმინდა ხედ მიჩნეული უნდა ყოფილიყო მუხა. ნამარის აზრით “ჯგერაგი” თავდაპირვე- ლად ნიშნავდა მუხას, მუხის ტყეს, რომელ- საც გეორგიანელები თავიანთ სცემდნენ უხსოვარი დროიდან. შემდეგ მუხის რწ- მენა წმ. გიორგის დაუკავშირდა. საყუ- რადღებოა, რომ ფშაგ-ხევისურეთში წმ. გიორგის ხშირად ლოცვებში “მუხის ან- გელზად” მოიხსენიებენ. “გერმუხის” - მთას ქვია ჯავახეთში, “გერმუხის” ქედზე აღმოსავლეთ საქართველოში კი არის “გერგეთის” მთა კელესით, რომელიც უკავშირდება წარმართული ქართული პან- თონის უმაღლეს ღვთაება “მორიგეს”. ჩემი გვარი “მორგოშია” არის ღვთაება “მორიგეს” ქურუმთა გვარი და ჩვენ ასევე გვეძახიან “მორგოშია-ჯგერეშებს”, ანუ “ჯგერეს”, იგივე წმ. გიორგის, ხატის მსახ- ურებს. სამანახლოში არი “გერის” წმ. გიორგის ეკლესია. ი.ჯავახიშვილის ცნო- ბით: სოფელ არბოში (აღმოსავლეთ საქართველო) “გერისთაობა”, ანუ წმიდა გიორგის ხატობა, 14-15 აგვისტოს იცოდნენ, ამ დღესასწაულს თავიდანვე “გერის- თაობა” რქმევია. ნაყოფიერების ღვთაე- ბისადმი მიძღვნილი სარიტუალო ცეკვას, სართულიან ფერხულს, ერქვა “გერგე- თულა”. მართალია ქრისტიანული ტრადიციით წმ. გიორგის მიერ ღოკლე- ტიან-დრაკონის დამარცხება ქრის- ტიანობის იმპერიალიზმზე გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ წარმართულ ეპოქაში ამას სხვა სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა: ურჩხულს ზოგან აქვთ თხის, ან ძროხის რქები. ძროხა კი მომთაბარე- მეოვრეების სიმბოლოა. მიწათმოქმედი გიორგის სიმბოლომ, მგელმა, შეჭამა ყანაში შესული ძროხა და ვენახში შესული თხა. ქრისტიანულმა რელიგიამ მგელი ბოროტების სიმბოლოდ შერაცხა, ცხვარი კი სიკეთის - არადა ცხვრის რქები და ჩლიქები სწორედ ეშმაკსა აქვს, ბაფომეტს კი, საერთოდ, თხის თავი ადგას. მეჯოგე აბელი მოკლა მიწათმოქმედმა კანმა - ანუ მომთაბარეობა დაამარცხა დაამკვიდრებულობამ. ღვთაება მითრაც, რომელიც წმ. გიორგის ანალოგიურ ღე- თაებად ითვლება, კლავს ხარს. სამეგრელოში ხალხური რწმენით წმ. გიორგის თავად მიჰყავდა ხარი იღორის ეკლესიაში შესაწირად. თეთრი გიორგის შესაწირიც ხარია. მეორე ვერსიით კი ღე- თაებები და გმირები კი არ კლავენ ხარს, არამედ მას იმორჩილებენ და გუთანში აბავენ. მეგრულად სიტყვა “გერახონა” ნიშნავს ერთგვარად მიწის დამუშავებას, გაფხვიერებას. “გერი” სვანურად ასევე ნიშნავს ხორბლის მარცვალსაც. მიწათმო- ქმედება უპირველეს ყოვლისა ხორბლის დათესვას გულისხმობდა, ამიტომ “მარ-

გალი” (მეგრული) აგრეთვე დამრგველ- მთხველსაც ნიშნავს. “გერ“-ფუძიდანაა ნაწარმოები ბერძნულ-ლათინური ხორბ- ლის მარცვლის აღმნიშვნელი სიტყვა “გრანუმ” (“გერ-ანუს”). სამეგრელოში უკანასკნელ პერიოდამდე შემორჩენილი იყო გადმოცემა, რომ “მარგალი” ნიშნავს გლეხს (მიწათმოქმედს). “გერ” ძირისაა ისეთი სამიწათმოქმედ ტერმინები რო- გორიცაა “ღარგა”, “გამარგა”, “ნამ- გალი” ქართული სიტყვა “გლეხი” (მიწათმოქმედი) სომხურში ჭანურიდან შეე- იდა როგორც “გერეხი”. თავად ჭანურად იქნებოდა “გერეხი”. აღიღე-აფსუურად მეგრულს ქვია “აგრუა”. ბერძნულად სიტყვა “აგრონომია” ნიშნავს მიწათმო- ქმედებას. მომთაბარე ბერძენებისთვის მი- წაზე დამკვიდრება და მიწათმოქმედების ათვისება სწორედ იქ მოხდა, სადაც ცხ- ვორობდა ის ხალხი, ვინც თავიანთ ქვეყანას “გერის” ქვეყნად მოიხსენიებდა და ამდენად ბერძენებისთვის “გერ” საერ- თოდ მიწის ცნებად იქცა. არც საბერძნეთის დღევანდელი ისხელი “გერე- ცია” არ უნდა იყოს შემთხვევითი ტერ- მინი. “გერესია” ერქვა ქალაქს პელაზგურ თესალიაში. “ეგოსი”-“ეგეიდა” კი ერქვა მედიტერანეის მცირე აზიის ჩათვლით. – ჰეროდოტეს ცნობით “გერგითები” არიან იგივე “გერგითი-ტეკერები” - ტეკერები კი ტროელის ნიშნავს. ქვეყანა ტროადას, ჩამოუდოდა მდინარე “გერმა”. სტრაბონის ცნობით ამ ტროადაში ერთ ქალაქს ერქვა “გერგითია”, რომელსაც ქალაქი ტროას დაცემის შემდეგ გადარჩე- ნილმა ტროელემა შეაფარეს თავი. “გერ- გითიები” იყო მხედრეთი აპოლონი, რომლის ტოტემური ცხოველი აგრეთვე იყო მგელი. აპოლონის ქურუმებს ბერძნუ- ლად ერქვათ “გერარები”. აპოლონს კელ- ტურად ერქვა “გრანუსი” და “ტარანისი”. აპოლონის მამაც, ზევსიც, დაკავშირებუ- ლია მგელთან. მას არგოში ეძახდნენ “ლიკოსს” (“ლიკოს” ბერძნულად მგელს ნიშნავს) რომელიც თავის შვილებს მგლე- ბად აქცევდა. ერთერთი მითის თანახმად მეგელ-ქალამ გააჩინა, მაგრამ არა ზევსის კანონიერმა მუელემ “ჰერამ” ანუ “გერამ” - ძველბერძნულ აღფაბუქში ასო “H” ნიშნავდა ასო “ე“-ს, მაგრამ როცა მას თავთან მიძეე ჰქონდა დასმული (H) ის იკ- ითხებოდა როგორც “ჰე”, მე კი მიმანია, რომ ის შეიძლება ამოკითხულ იქნეს აგრეთვე როგორც “გე” - ძველბერძნულში არსებობდა ბერძნულიც არც მთლად “გე” იყო და არც მთლად “ჰე” - დღევან- დელი უკრაინული “ჰეს” მსგავსად. სახ- ელი “გერა” ბერძნების მიერ ჩაწერილი იყო ἄρη და ἔρη - ἄρη ფორმითაც, რაც ბერძნულად ნიშნავს ძველბერძნულს, ძვე- ვამოსილსე ნიშნავს მეგრული სიტყვა “გერგეხი”. ისტორიულ კარიაში (დღევან- დელი თურქეთი) მდინარე “მაინდროსის” მდამობრძელი დღემდე შემორჩენილია უძვე- ლესი საყდარი წარწერით “გერგაზ” (ΓΕΡΓΑΖ), იქვეა ნაპოვნი ქალღმერთის ქან- დაკება ამავე წარწერით, ამიტომ მიიჩნევა რომ ეს ღვთაება არის “ჰერა” (გერა-კი- ბელე). მსგავსი წარწერები ანატოლიაში სხვაგანაც ბევრი არსებობს. “ჰერას” შვილობილები იყვნენ აგრეთვე “ჰერაკლე” (“გერაკლე”) და “ჰერმესი” (“გერმესი”) რომლის ნამდვილი დედა იყო “აია”, “ჰერ- მანუბისი” კი იყო მგლისთავიან ღვთაება, რომელსაც მიიჩნევდნენ “ჰერმესის” და ეგვიპტური ღვთაება “ანუბისის” (“იმპუს”) სინთეზად. არკადიაში ზევსი მიჩნეული იყო მეგელ-ღვთაებად და მის ტაძარში, რომელსაც ერქვა “ლიკაიონი” მგელი ითვლებოდა წმინდა ცხოველად. ეს ტაძარი დააარსა პელაზგების მითურმა პირველმა მეფემ, რომელსაც თავადვე ერქვა “ლიკაონი”. მანვე დააარსა არკადი- აში “ლიკოს” მთაზე ქალაქი “ლიკო- სურა”. არკადიასთან მდებარე სპარტას კი ადრე ერქვა “ლაკედემონი”, ანუ მეგელ- ხალხის მხარე. სპარტის პარლამენტს ერქვა “გერუსია”, პარლამენტარებს “გერონტები”. სპარტის კანონმდებლობის რეფორმატორი იყო “ლიკურგა”. მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით არსებობდა ქვეყანა “ლიკია”, ანუ მგლების ქვეყანა, რომლის მეფე იყო “გერგისი”. ბერძნები

ლიკიელებს კერტიდან გადასახლებულ პელაზგებად მიიჩნევდნენ. მცირე აზიის შუაგულში კი არსებობდა ქვეყანა “გალათია”, რომელიც ევროპულ “კელტ- გალებს” უკავშირდება. “გალებს” ბერძნულ-ლათინური სახელწოდებებია “გალათები”, “გელეგები” და “გელეხი” - ეს “გალები” და “გელონები” გვხვდებიან კავკასიაშიც. ალბანეთის ერთერთ მთავარ ტომთაგან მიჩნეული არიან “გალები”, იგივე “გელარები”, იგივე “გარგები-გარ- გარები”, რომლებსაც პტოლომაოსი დასავლეთ კასპისპირეთში მოიხსენიებს. “გერის” სახეცვლილებია “ჰერი” და “ჰერეთი”. აქედანაა ეთნონიმი “ინგილოც”. ზოგი მეგლევარის აზრით პტოლომაოსის მიერ მოხსენიებული მდინარე “გერი” კავკასიაში მდებარეობდა, რომლის ნაპირზეც იყო ქალაქი “გელდა”. სამხრეთ იტალიის ბერძნების ექსპანსიამდე ერქვა “გელონა”. ჩრდილოეთ ევროპის გალიის უმთავრეს ციხე-ქალაქს ერქვა “გერგოვია”. გალიის ცენტრალურ რაიონს ევროპაში წარმოადგენდა “გერკინის” ტყეები. რო- გორც ჩანს “გელ” ძირი “გერ” ძირის ინ- დოევროპულის ზეგავლენით მიღებული ფორმაა. ქართულ ენაში მეგრული “მგერი” გახდა “მგელი”, სომხურად კი “გაილ”. გალებს ასევე ერქვათ “გერმანები” - “მან” კაცს ნიშნავს გერმანულად, ხოლო სვანურ- რად კაცს არის “მარ(ე)” და ეს უნდა ყოფილიყო “მან-ის”(კაცის) საწყისი ფორმა: “გერ-მან”-“გერ-მარ”. თუმცა ეთ- ნონიმი “გერმანი” შეიძლება ნაწარმოები იყოს ტყის აღმნიშვნელი მეგრულ- ლაზური სიტყვიდან “გერმა” - ლათინები ხომ გერმანელებს ტყიურებს ეძახდნენ. “მარიდან” კი ნაწარმოებია ქართული სიტყვები: “ქმარი” (ლათინურად “მარი- მარიტო”), “სამარე”, “მარანი”, “მარხილი” (შუმერულად “მარგიდი”), “მარწყვი”, “მამრი” (ლათინურად “მ(რ)სკელუმი”), “ქა- მარი”, “მარმარილო” და ა.შ. აგრეთვე ეთ- ნონიმები: “მარები”, “ამარანები”, შესაძლოა “მარგალებიც” და ა.შ. აგრეთვე სახელები: “თამარი”, “მარიაში”, “მარეხი”, “ყამარი”, “მარადია”, “სამიძმარი”, “მარმალა”, შესა- ძლოა “ამირანიც”, “მერი”, “მერაბი”, “მირი- ანი” და ა.შ. აღსანიშნავია რომ კელტ-გალების გვარები ხშირად ბოლოვდებოდა “მარ(ე)”. “კელტ” არის იგივე “გელტი” ანუ “გალი”. პროტოიტალ- იური ტომები “გერგები”, იგივე საბინები, თავიანთ თავს მგლების შთამომავლებს ეძახდნენ. ლათინებში მგლის კულტი მათ- გან და ეტრუსკებისგან შევიდა. იტალიაში ასევე სახლობდნენ “გერნიკები”, რომ- ლებიც რომაელების მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ როცა რომმა გალებთან ომი წამოიწყო “გერნიკებმა” გალების მხარე დაიჭირეს. ამ “გერნიკებს” პელაზგურ ტომად მიიჩნევდნენ. პელაზგების ერთ- ერთი სახელია აგრეთვე “ეგიალები”. იტა- ლიურ ომის ღვთაება “მარსი”, ლათინურად ეწოდება “ლუპუს მარს”, ანუ “მგელი მარი”, ხოლო ეტრუსკების და პრო- ტოიტალიელი “ფალსების” ენაზე ეწოდე- ბოდა “მარისი”. ღვთაება “მარსი” იგივეა რაც ბერძნული “არესი” და გეორგიანული ღვთაება “მორიგე”-“მარგე”, რომლის სახ- ელიც ქვია აგრეთვე ცისთვის ვარსკვლავს. ი. ჯავახიშვილის განმარტებით სიტყვა “ვარსკვლავის” წინარე ფორმაა “მარ- სკულავი”, ანუ “მარის” შეილი (სკუა მეგრულად შეილს ნიშნავს). “მორიგე”- “მარგეს” შუამდინარეთში ეძახდნენ აგრეთვე “მარდუეს”, რომელსაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართული სიტყვები: “მარადისობა”, “სიმართლე” და ა.შ. “მარს” აგრეთვე უკავშირდება ხათური ღვთაება “მარუა”. “მარდუეს” უკავშირდება ელა- მური ქალღვთაება “ლაგამარიც”, რომელ- საც ი.ჯავახიშვილი უკავშირებს სვანურ ქალღვთაება “ლაგამარას”, რომელიც შემდ- გომ დვთისმშობელთან გააიგივეს. მატრი- არქალური დედაღვთაება ზოგან ჯერ იქცა პერმოფროდიტად და შემდეგ მამადმერ- თად. პერმოფროდიტული ეპოქის გამოძახ- ილია სიტყვა “დედაკაცი” და თამარ მეფის, ქალ-მეფის მცნება, როგორც მეფის და არა როგორც დედაოფლის. შუამდი- ნარულ ქალღმერთებს ზოგან ქონდათ წვერები. ცოლ-ქმარის ერთარსებად მოაზრებაც პერმოფროდიტულია. გელუ-

რად და ირლანდიურად ღმერთი აღინიშ- ნებოდა სიტყვით “ლია”, რაც თავდაპირვე- ლად დედაღვთაების სახელი უნდა ყოფილიყო. იგივე ითქმის ლათინური “ლიოს”, მეგრული “ოდის”, ნახური “დი- ალას” და სკანდინავიური ომის ღვთაება “ოდინის” შესახებაც, ახლავს ორი მეგლი “ფრეკი” და “გერი”. სიტყვა “გერი” კი სკანდინავიურში ნიშნავს გაუმადარს- მგლისმიდაინს. ძველად კი ამავე ენაზე “გერ” ნიშნავდა ციხესაც და შესაძლოა აქედანაა ნაწარმოები ქალაქის სახელი “გრად” (გორად). ძველ ისლანდიურად “გარგერ” ნიშნავს მგელს და დამნაშავესაც. ძველ გერმანულში კი “გერ” ნიშნავდა შუბის წვერს, რაც აზრო- ბრივად ახლოა ქართულ სიტყვა “მგერ- ებასთან” (შუბის). “გერ” ფუძიდანაა აგრეთვე ქართული სიტყვა “მო-გერ- იებაც”(მომხდურის) და სიტყვა “დაგეშვა”- “და-გერ-შვა”(ძალის) - მეგრულად “გერქჩინაფა”-“გერშინაფა”. “გერ“-ძირისაა აგრეთვე სიტყვები “ღრენა”, როგორც “გერენას” გაძლიერებული ფორმა; “გერგე- ინვა”(“გერგეინვა”), “გერუხენი”, “მეხი”, “გმირი” (მეგრულად “გერგეხი”) - ინდო- ევროპულად “გერიო”. ლათინურ ენებში “გერ”-“გურა” ნიშნავს ომს, “გერიერო” მემომარს. “გერია” პარტიზანებს. – ბასკეთში არის ქალაქი “გერნიკა”. ბასკური თქმულების თანახმად “გერნიკა” აგრეთვე ერქვა დიდ ხეს, რომელსაც აქვს შვიდი ტოტი: ერთი ტოტი საფრანგეთისკენ აქვს გაშვებული, ერთი ბრიტანეთისკენ, ერთი ესპანეთისკენ და დანარჩენი ოთხი ტოტი სით აქვს გაშვერ- ილი თავად ვივარაუდოთ. – “უნგრეთს” ქვია აგრეთვე “მაგერსკა” და “ჰუნ-გერია”. ჰუნები, ისევე როგორც, გოტები, საქსები, ალანები, სარმატები, ფრანკები, დონები და ა.შ. არიან ინდო- ევრო-თათრული მოდგმის ხალხები, რომ- ლებმაც საბოლოოდ მოსპეს კელტ-გალო-ბერეილთა (ანუ გეორ- გიანელთა) სახელმწიფოები ევროპაში და მოახდინეს მათი ასიმილაცია. – სასომხეთში შემორჩენილია წარმარ- თული ტაძარი “გარნი”, რომელიც აგებუ- ლია ღვთაება “მგერის” სახელზე; არმენები კი მგლის ქვეყანას საქართვე- ლოს უწოდებენ (“გურქისტან”). სვეანის ტბას ქვია “გელამი”, იქვეა “გელის” მთა და დასახლება “გელაქუნტი”, სვეანის ტბას ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებ “აგერუ- ნის” მთები, აქვეა “ალა-გელარის” მთაც. დღევანდელი სასომხეთის ტერიტორია მთლიანად გეორგიანული მოდგმით იყო დასახლებული მომთაბარე “ჰაიკების” გამოჩენამდე. ასევე დღევანდელი აზერბაი- ჯანის ტერიტორიაც მთლიანად გეორ- გიანელებით იყო დასახლებული თურქ-ახერების გამოჩენამდე. აზერბაიჯა- ნის გედაბუკის რაიონში არის ადგილი სახელად “გერგერ” და არის მდინარე “გიულგერი”. დაღესტანში არის სოფელი “გერგა”. “გელებს” უკავშირდება ეთნონიმი “გილიბი-გილიბარი” და ჩრდილოეთ ირანში არსებული ტომონიმი “გილიანი”, რაც მოგვაგონებს შუმერულ ღვთაება “გილგამეშის” სახელს. შუმერები თავიანთ ქვეყანას ეძახდნენ “ქი-ენ-გირს”, თუ “ქი-ან-გერს”, რაც ჩემის აზრით განიმარ- ტება როგორც “ქიანა გერი”. თავიანთ ენას შუმერები ეძახდნენ “ე-მეგერს”, თუ “ე-მეგერს”, თუ “ე-მეგერს”. პირველ ლურსმ- ნულ წარწერებს ქვია “ე-მეგერული”. შუმერებს მიანდათ, რომ მათი წინაპრები ჩრდილოეთის მთებიდან იყვნენ ჩამოსახლებულნი. საყურადღებოა ასევე მდინარე “ტიგრისი” “გერ“-ძირი. სხვათა- შორის მდინარე ნილოსის ერთერთი ეგვიპტური სახელია “გერი”. ჰეროდოტე ნილოსის შენაკადად ასახელებს მდინარე “ნიგერს”, რაც სავარაუდოდ დღევანდელი თეთრი ნილოსია, ნილოსის სათავეს კი ქვია “კაგერა”. ეგვიპტურ ცივილიზაციას საფუძვლად უდევს “გერზას” კულტურა - ტომონიმი “გერზა”-“ალ-გერზა” აშკარად არაბიზებულია, მაგრამ “გერ“-ძირი სწორედ იმ დროინდელი იქნება როცა ეს კულტურა წარმოიშვა.

ბაკურ მორბოშია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ცნობილმა სახალხო მკურნალმა საქმიანობა განაახლა!

გაზეთი "ილორი" ჯერ კიდევ 2011 წელს აღნიშნავდა, რომ სამედიცინო სფეროს მაჯალაჯუნად აწვეს ავად-სახსენებელი "ნაციონალების" ფავორიტი მაფია და სისხლს სწოვს პაციენტებს. სწორედ ფარმაკომაფიის ბოხების სისარ-ბისა და თავგასულობის გამო ადრე კაპიკებად ღირებული (და უცხოეთში, ასევე კაპიკებად შექმნილი) პრეპარატები ცეცხლის ფასად იყიდებოდა (ქვეყანაში უფა-სოდ შემოტანის ერთჯერადი შპრიცები, რომელსაც ეს ხარბი ხელისუფალი 0-12 თეთრად ჰყიდდა, უკვე 0-20 თეთრი გახდა). მიუხედავად იმისა, რომ ნაცმოძრაობა ჩამოცილდა ქვეყნის მართვის სადავეებს, ფარმაკომაფია ჯერ კიდევ მყარად დგას საკუთარი გამდიდრების ბერკეტებთან.

საინტერესოა, როდემდე არ უნდა მიექცეს ყურადღება ამგვარ უმსგავსოე-ბას?

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ სახალხო მკურნალ ბიჭიკო გაგნიძის მიერ გამოგონ-ნილ პრეპარატებზე, რომელიც მართლაც სასწაულის სფეროს განეკუთვნება. ბალ-ახებსა და ყვავილებზე დამზადებული ეს პრეპარატები "გაგნილი" და "დომენ-ტოლი", ყოველგვარი ქირურგიული ჩარე-ვის გარეშე არჩენს სიმსივნურ დაავადებებს, კუჭნაწლავის გაუფლობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხსილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფიქტიკურად დაუვადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულსა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათოვრებას, სეფ-ვის, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენისი, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლი-მაქს, წყლულს, ფსორიას, სახსრების დაავადებებს, ვილფრისას, ამყარებს სხეულის იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვი-ნის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარ-ვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდე-ბულებზე.

სწორედ დომენტი გაგნიძის წინააღმდეგ დაიარაღა ფარმაკომაფია და 2011 წელს, ნაცების ბინძურ რუპორად ქცეული, ნაც-ების მიერ პატრაციაში შეიღებების ოჯახ-ისათვის ბანდიტურად წართმეული ტელეკარ "იმედი" და მისი დიქტორის ნოდარ მელაძის არაკორექტულობის წყალობით მოახერხეს წესიერებით გამოჩნეული სახალხო მკურნალის წინააღმდეგ "შავი პიარის" აგორება! ამ ან-გაჟირებულმა, აშკარად სუბიექტურმა "ჟუ-რნალისტად" წოდებულმა პიროვნებამ ვიდაც სულგაყიდული ადამიანები გამოიყ-ვანა ტელევიზიით, რომლებიც ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ამტკიცებდნენ, რომ გაგნიძის პრეპარატების გამოყენებამ მათი ახლობლების ჯანმრთელობის მდგო-მარეობა გააუარესა, კონკრეტულად კი ვე-რაფერს ამბობდნენ...

მაფიოზებმა კინაღამ თავისას მიადვიეს და შეძლეს მოქალაქეების ნაწილის დარ-ღმუნება დომენტი გაგნიძის სასწაულმო-ქმედი პრეპარატების მეშვეობით, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და პა-ციენტები მაინც მიდიოდნენ სახალხო მკურნალთან.

და იცით რატომ? გაგნიძის პრეპარატები მართლაც კაპიკები ღირს იმასთან შედარებით, რაც აფთიაქებში იყიდება, ვფიქტურია და ხელმისაწვდომია ყველასათვის. და ამ წამლების აღიარების შემთხვევაში აფთიაქებიდან ათასამდე ძვი-რადღირებული პრეპარატი ამოვა ხმარე-ბიდან, რაც დამღუპველი იქნება წურბელად ქცეული წამლის მაფიისათვის. დიდ მადლიერებას გამოთქვამს სახალხო მკურნალი სამეგრელოს მიმართ, რადგან მისი პაციენტების დიდი ნაწილი ამ კუთხ-იდანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეგრელებმა არ დაუჯერეს მაფიას და კვლავაც გაგნიძის პრეპარატების ერთ-გულები რჩებიან.

მაშინ დაუსჯელად მოქმედი ფარმაკო-მაფიის მესვეურები მალე "სიტყვიდან" საქმეზე გადავიდნენ და სახალხო მკურ-ნალს ყოველი მხრიდან შეუტყობს. ყვე-ლასათვის ცნობილია - "ნაციონალების" მიერ შექმნილი მახინჯი მძლავრი სახ-

ელმოწიფო მანქანა როგორ და რა მეთოდებით სძალავდა მოქალაქეებს ფულსა და ქონებას.

ბიჭიკო გაგნიძეს დღემდე ვერ გაურკვე-ვია, რატომ და რა მიზეზით შეუვარდა სახლში თელავის საფინანსო პოლიცია, რატომ დააყენა და გაიტანეს ყვე-ლაფერი, რაც ებოდა. პოლიციელებმა "ბოლგარკით" დაჭრეს სეფი და ისე გაი-ტანეს ფული ოჯახიდან. ასევე, წაიღეს წამლის ჩამოსახსმელი დანადგარები, ამპულები, ფლაკონები და ფილტრები.

ერთი სიტყვით, ნაცების "ზონდერებმა" პირწინადად გაქურდეს სახალხო მკურ-ნალი, ზუსტად ისე, როგორც დააყენა "ქართუბანკის" საინკასაციო მანქანა, სხვა ბიზნესმენები... ნაცები, რომლებიც ყელის ჩახლენამდე გაჰყვიროდნენ, რომ ქურდობა მოსპეს, სინამდვილეში თავად ჩაენაცვლენ ქურდებსა და ყანალებს.

- პრობლემები შემიქმნეს არა მხოლოდ მე, არამედ მილიანად ჯანდაცვის სის-ტემასაც, რომელიც, შეიძლება ითქვას - "ყუაზე დაიყვანეს". ამიტომ მოითხოვს დიდ ძალისხმევას მედიცინის დარგის გამართვა, რასაც, იმედია, ახალი ხელისუ-ფლება წარმატებით გაართმევს თავს! ვიდრე სახელმწიფოში ჯანდაცვის სის-ტემაში არსებული პრობლემები არ მოგ-ვარდება, საქართველოში რაიმე აღმავლობაზე საუბარიც კი არ შეიძლება! რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, მოვა დრო და "გაგნილსა" და "დომენტოლზე" მთელი მსოფლიო ილაპარაკებს! - ამბობს მრავალტირნახული ბატონი ბიჭიკო გაგ-ნიძე.

მართლაც, ამ წამლებზე ახალმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, თუკი ის ჭეშმარიტად ზრუნავს თავისი მოსახლეო-ბის ჯანმრთელობაზე.

ვინ მოსთვლის, რამდენ ადამიანი გადაარჩინა უუცველ დაღუპვას და დაუბრუნა სიცოცხლის ხალხის ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძემ თავისი სამკურნალო მოღვაწეობის მანძილზე, რამდენი სიც-ოცხლე იხსნა მან.

დღეს, მიუხედავად გარკვეული წინააღ-მდეგობებისა, ავტორიტეტულ მეცნიერე-ქმითა უმეტესობა აბსოლუტურად დარწ-მუნებულია გაგნიძის მიერ მართლაც სასწაულდებრეად და აუხსნელად მიგნე-ული პრეპარატების ქმდითუნარიანობაში და თვლის, რომ იგი უადრესად ვფიქტურია და დაავადებისგან მისუსტებული ადამიანის იმუნიტეტის გაძლიერების საქმეში, რაც გადამწყვეტი გახლავთ თვით ყველაზე მძ-იმედ დაავადებული ადამიანის მკურნალო-ბისას.

ერთი შეხედვით, მართლაც დაუჯერებე-ლია, რომ ერთადერთმა პრეპარატმა უამ-რავ მიმე დაავადებას უმკურნალოს, რომელთა მეტი წილი მოურჩენლად და საბედისწეროდ არის აღიარებული მსოფლიოს კლასიკური მედიცინის მესვეურთა მიერ. თუმცა, ბატონი ბიჭიკო ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს და გან-მარტავს, რომ ყოველი ამქვეყნიური სიც-ოცხლე ბუნების წაიღიდან მოდის და მისი პრეპარატების საიდუმლოც ბუნების მიერ "ბუნებრივად გამოყვანილი" ყვავილები და ბალახებია, რომელთა ფარმაკეტიკული შესაძლებლობა კაცობრიობის მიერ ჯერ კიდევ ზერეულდ არის შესწავლილი. გა-მონაკლისი მხოლოდ რამდენიმე სახალხო მკურნალია, რომელიც ღმერთმა მოუვლინა მხსნელად იმედგადაწურულ დაავადე-ბულებს...

და კიდევ, ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ შექმნილი სასწაულმოქმედი პრეპარატის ერთი, ყველაზე დიდი დიდი საიდუმლოც - ავადმყოფი ადამიანების რწმენა და მათი ბრძოლისუნარიანობა, დიდი იმედი წამლობისადმი, რადგან თვით ყველაზე ძლიერი სამამულო თუ უცხოური პრეპარატიც კი ვერ შესძლებს სასიკვდილო სენის დამარცხებას წამლისადმი დიდი ნდობისა და სიც-ოცხლის დაუძლეველი ყინის გარეშე.

გაგნიძის მიერ მიხდრის ბალახებზე დამზადებული საინექციო პრეპარატები მართლაც სასწაულმოქმედი.

პრეპარატი თითქმის შეუძლებელს აკეთებს ონკოლოგიაში - თავისუფლად უშედეგად პირველ და მეორე სტადიებს, ხშირად, მესამე სტადიაში მომძლავრებულ სიმსივნის მეტასტაზებსაც კი სპობს და

რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ სასიკვდილოდ განწირული ადამიანი ცხ-ოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რასაც ადასტურებს მისადმი მიწერილი, უამრავი, უიმედო სენისაგან განკურნებული ადამი-ანის სამადლობელი ბარათი. იგივე მად-ლობის სიტყვებით იწყებდნენ თავიანთ გამოსვლებს ერთ-ერთ პრესკონფერენცი-აზე ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ შე-ქმნილი პრეპარატი განკურნებული პაციენტები.

თიმოშოვა მსართია (მსახიობი): პრო-სტატიტის ჯირკვალი იმდენად მქონდა გა-დიდებული, რომ ოპერაციისათვის ვეშადებოდი - მეორე დღეს უნდა წაე-სულიყო საავადმყოფოში. მეზობელმა რომ გაიგო, დომენტი გაგნიძისთან მისვლა მირჩია. კიდევ კარგი დაუჯერე. პირველი ორი ფლაკონის გაკეთებისთანავე ჯირკ-ვალს ნორმალური სიდიდის გახდა და წლობით ნატანჯამ ადამიანმა მშვიდად ამოვისუნთქე...

მალხაზ ჯოხაძე: ცეროზის დიაგნოზი რომ დამისვეს, ოჯახის წევრებმა ემოციები ვერ მოთოკეს და ლამის ცოცხლად გამომიტირეს. კარგად ვიცოდი რასაც მიქადავს ეს მიმე სენი და მეც სიკვდილს შეეურივდი. მუცელში წყალი ჩამიღვა, სარკემი ჩახედავ არ მინდოდა, ადამიანის სახე მქონდა დაკარგული. მერე ვიდაც ქრისტიანმა ბიჭიკოსთან მიმასწავლა. სასწაულის არა მჯერა, მაგრამ გაგნიძის წამალს რომ სასწაულის მოხდენა შეუ-ძლია, ჩემს მაგალითზეც დარწმუნდება ადამიანი. რამდენიმე ფლაკონი მისი წა-მალი გავიკეთე, წყალი ამოშრა და ღვი-ძმა ნორმალური ფუნქცია აღიდგინა. ვიცი, ბატონი ბიჭიკო განმეწერება, რადგან ღვინის დაღვევა ამიკრძალა, მაგრამ ზოგ-ჯერ სუფრასთან თამაშობა მიწვეს, ქარ-თულ სუფრაზე თამაშობა კი ღვინის დაუღვევლად არ შეიძლება. დაავადების-აგან ისე ვიყავი განამეზობელი, რომ ვერა-სოდეს წარმოვიდგენდი თუ ნორმალურ ცხოვრებას დაგებრუნდებოდი, მაგრამ, ახლა თქვენს წინაშე ვარ სადსალამათი ადამიანი, რომელიც ერთი წლის წინ სიკვდილ-სიცოცხლის ის მიჯნაზე იდგა...

ვიტო აბაშანაძე: ჩემი მეუღლე დია-ბეტისაგან იტანჯებოდა. რა არ გავაკეთეთ, მაგრამ ვერაფერს გახდით, ექიმები დამამიძღებელს ვერაფერს გვეუბ-ნებოდნენ, ერთადერთი, რასაც ოდნავ შეე-ბის მოცემა შეეძლო, იქნებოდა ის, რომ ახალგაზრდა კაცი მთლიანად ინსულინიზე იქნებოდა დამოკიდებული. მდგომარეობა უცებ დამძიმდა, ფეხებში სისუსტე იგრძნო, შემდეგ დაუსივდა და შავი ფერი დაედო, აუტანელი ტკივილები სტანჯავდა და ძილის საშუალებას არ აძლევდა, სიარული აღარ შეეძლო და ტუალეტშიც კი ხელით დაგვეყვავდა - იმედი საბოლოოდ გადაგვეწურა, როცა მივხვდით, რომ გან-გრენე იწყებოდა. ერთადერთი გამოსავალი ქვედა კიდურების ამპუტაცია იყო - იგი დაინვალიდებოდა, მაგრამ ვარკვეული ხნით გაუხანგრძლივებოდა სიცოცხლე. სწორედ ამ დროს შევიტყვე გაგნიძის სასწაულმოქმედი წამლის შესახებ. იმდენი ექიმის ხელში გამოვიარეთ უშედეგოდ, რომ, სიმართლე გითხრათ, თავიდან არც კი მეჯერა თუ ამ დაავადებას რაიმეთი გა-დავლახავდით, მაგრამ მართლაც სასწაული მოხდა - რამდენიმე ნემსის გაკეთების შემდეგ ტკივილი გაუქრა და დამოუკიდებლად სიარული შესძლია. ჩვენ მე-14 სართულზე ვცხოვრობთ. მეუღლე ერთხელ ლიფტით ჩავიდა დაბლა და დენი გაითიშა. როდენ დიდი იყო ჩვენი გაო-ცება, როცა ვნახეთ, რომ მეუღლე თავისი ფეხით ამოვიდა ამხელა სიმაღლეზე. სწორედ მაშინ ვიწამეთ სასწაული, სისხარულისაგან ცრემლებს ვერ ვიკაეებ-დით. ჩემმა მეუღლემ ბოდიში მოგიხდათ, რადგან სამსახურებრივი საქმის გამო ქალაქიდანაა გასული და დღეს აქ მოსვლა ვერ მოახერხა. მე კი უდრემის მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ბი-ჭიკოს, რომელმაც სიცოცხლის ხალხის დაგვიბრუნა იმედგადაწურულ ადამი-ანებს...

სვანდამ თამარი: ყველას კარგად მოეხსენება, თუ როდენ ვერაგი დაავადე-ბაა გაფანტული სკლეროზი. ნაადრევი სიკვდილის მსხვერპლად ჩავთვალე თავი, როცა ექიმებმა ეს დიაგნოზი დამისვეს.

ქვედა კიდურები თანდათან მიბუდეოდა და მალე მთლიანად ლოკინს მივეჯაჭვე, გადაადგილება აღარ შემიძლო. მხოლოდ სოლუმედროლის გადასხმებს ვიკეთებდი, რათა დაავადების რემისირება მომხ-დარიყო. სოლუმედროლი კი, როგორც მო-გეხსენებათ, პორმონების შემცველი პრეპარატია, რაც, საბოლოო ჯამში, კარგს არაფერს უქადის დაავადებისაგან ისევეც დასუსტებულ ორგანიზმს. სწორედ ჩემთვის ასეთ მიმე კამს შევიტყვე ბატონ ბიჭიკო გაგნიძისა და მის მიერ გამოგონებული სასწაულმოქმედი პრეპარატის არსებობის თაობაზე. სულ რამდენიმე ინექცია დამჭირდა, რომ თავი-დან ამეღვა ფეხი. ახლა კი, თქვენს წინაშე ვდგავარ აქ ჩემი ფეხით მოსული და, რო-გორც ხედავთ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მაცვია, რაზედაც ამ რამდენ-იმე თვის წინ ოცნებაც კი არ შემიძლო. დიდი მადლობა ამისათვის თქვენ, ბატონო ბიჭიკო...

მანანა მარცვალიაძე: მეც ზუსტად იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რაზედაც ჩემს წინ გამოსულმა ქალბატონმა ისაუბრა. გამოსავალს ვერ ვხედავდით, ჩემი ჯანმ-რთელობის მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდებოდა და ერთ დილას ლოგინიდან ვერ წამოვდექი. მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც სასოწარკვედილებამ მოგვიცვა, მაგრამ მწუხარება და ტირილი საქმეს ვერ შევლის, და ჩვენ მაინც ღვთის იმედად ვრწმუნდით. სასწაულმაც არ დააყოვნა - ახლობლების რჩევით ბატონ ბიჭიკო გაგ-ნიძისთან მივედი და რამდენიმე ინექციის გაკეთების შემდეგ მე უკვე საბოლოოდ განვიკურნე. ექიმები გაცივებდნენ ვერ მალავდნენ, როცა ბირთვული ტომოგრაფის შედეგებმა ტვინის უჯრედების ადგენის ფაქტი დაადასტურეს. კლასიკურ მედიცი-ნას ხომ ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლია. მე არ ვიცი რას უწოდებენ ამას სპეციალ-ისტები, ჩემთვის კი ეს ღვთის წყალობაა - მეორედ დაბადება.

მამა იოანე - უამრავი მეცნიერულად აუხსნელი მოვლენა, რომელსაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ. სწორედ ამ სასწაულს უნდა მივაკუთვნოთ ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატი, რომელსაც სიხმარში გამოეცხადა ღმერთი და მაინაშნა, რომ ამ ბალახებისაგან შესძლებ წამლის გაკეთე-ბას და ადამიანების განსაცდელისაგან დახსნასო. ეს კიდევ ერთხელ გვარწ-მუნებს, რომ საქართველო ჭეშმარიტად ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რადგან მის მიწაზე ხარობს ის ბალ-ახეული, რომელსაც სიკვდილის დამარ-ცხებაც კი ძალუძს...

პრესკონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საჭიროა მწვანე გზა მიეცეს გაგნიძის მიერ შექმნილ მართ-ლაც სასწაულმოქმედ პრეპარატებს, რადგან მისი აუღიარებლობა ახარალებს არა მის ავტორს, არამედ უამრავ ჯანმ-რთელობაშერყვეულ და იმედგადაწურულ ადამიანს, რომლებიც ათასობით ღარს ახ-მარენ ფრიად არაეფექტურ პრეპარატებს და უშედეგო მკურნალობას.

ამრიბაღ, სახალხო მკურნალი დო-მენტი ბაბანიძე ითხოვს ნაციონალურს მანაღური ხელისუფლებას მიერ შე-ბლაღული სახელისა და ღირსების ად-მენას და იმ შუალადი თანხებისა და მატერიალური ტონების დაბრუნებას, რომელიც მას კანონის სრული შუღვე-ბეუფრომით ჩამოართვეს! ყველაზე აღამაფიძრებელი კი ის ბახლავთი, რომ ამ ადამიანის უფლებების შემლახველი დანაშაუმი ჩინოვნიკები კვლავ თავიანთ თანამდებობაზე სხადან და აბრძობაშს თრითნებობას!

სახალხო მკურნალი ბიჭიკო გაგნიძე კი კვლავაც ძველი შემართებით მუშაობს და მის ხელთ არსებული მწირი ტექნიკის გამოყენებით ახერხებს ჯანმ-რთელობაშერყვეული ადამიანებისათვის ესოდენ სანუგეარი პრეპარატების დამზადებას.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს კი კიდევ ერთხელ ვაცნობებთ სახალხო მკურნალის კოორდინატებს:

თელავი, კავკასიონის ქუჩა №61-ბ, გაგ-ნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24, თბილისი, აჭყურის 70 (მეტრო "ისანთან"). ყოველ დღე, გარდა კვირისა.

რ. შალაგბერიძე

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას

დაბრუნება წარსულში თუ ზვიად სიჭინავას უპანასკნელი ბაქაშვილი?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ხელმძღვანელობით ახალი დებულება შემუშავა...

იდეა, რომელიც ბატონ სიჭინავას გაუჩინდა, არახალია. სწორედ მისი წინამორბედის ნოდარ ახალკაცის დროს გეგმონდა 16 გუნდიანი ჩემპიონატი...

ფეხბურთის ფედერაციამ რეგლამენტი სწორედ ზვიად სიჭინავას პრეზიდენტობის დროს, ჩემპიონატის მიმდინარეობისას არაერთხელ შეცვალა...

ჩატარდებოდა. თუმცა შემდგომ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, ხშირ შემთხვევებში გუნდები შეხვედრებს ისეთ მოვლენებზე ატარებდნენ, სადაც წესითა და რიგით თამაშების ჩატარება აკრძალულია...

ქართული ფეხბურთის არსებული ჩიხიდან გამოყვანა გუნდების რაოდენობის გაზრდით რომ ვერ მოხერხდება, ეს ყველაფრის დღესაც ცხადია...

საქმეს კარბი პირი შხანს - 15-20 მილიონი უმაღლესი ლიბის კლუბებისთვის

ქართულ საკლუბო ფეხბურთის ახალი დინამიკა გაუხსნა. 14 მაისს ევროპულ ფეხბურთის საბიუჯეტო კლუბების წარმომადგენლები შეადგეს ფეხბურთის ფედერაციას ესტუმრნენ...

სახელმწიფოს მხრიდან აქტიურობა უნდა იყოს საკლუბო ფეხბურთის დახმარებაზე. სხვათა შორის, შეხვედრაზე რუსთავეის "ოლიმპის" წარმომადგენელი აკა ქავთარაძეც მოვიდა...

სახელმწიფოს მხრიდან აქტიურობა უნდა იყოს საკლუბო ფეხბურთის დახმარებაზე. სხვათა შორის, შეხვედრაზე რუსთავეის "ოლიმპის" წარმომადგენელი აკა ქავთარაძეც მოვიდა...

სახელმწიფოს მხრიდან აქტიურობა უნდა იყოს საკლუბო ფეხბურთის დახმარებაზე. სხვათა შორის, შეხვედრაზე რუსთავეის "ოლიმპის" წარმომადგენელი აკა ქავთარაძეც მოვიდა...

ფედერაციის რეაგირება როგორია?

ფედერაციამ საკუთარი პროექტი წარმოგიდგინა, რომლის მიხედვით, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს უნდა მიეცეს ერთი და იგივე სამონაწილო თანხა...

პირველი ლიგის კლუბებს რა დაფინანსება უნდა ჰქონდეთ?

ცხადია, ეს კითხვა თვითონ პირველი ლიგის კლუბებმა დასვეს. რადგან უმაღლესი ლიგის კლუბებს გარანტირებულად ექნებათ სამონაწილო თანხა...

გია ისიანის პროექტს, ალბათ, უკვე ყველა იცნობს - ამ შეხვედრაზე თუ იყო საუბარი ამ პროექტზე?

ეს პროექტი სამწლიანია და ვფიქრობ, ყველასათვის საყურადღებოა, რადგან ის მოიცავს როგორც საბიუჯეტო, ასევე კერძო კლუბების ინტერესებსაც...

როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, კერძო კლუბებმა ფედერაციის იმ პროექტზე იმსჯელეს, რაზეც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები საბიუჯეტო კლუბების მესვეურებს ესაუბრნენ...

კერძო კლუბებმა ფედერაციის ეს პროექტი განიხილეს. ამ პროექტის მიხედვით, უმაღლესი ლიგის კლუბი ვალდებული იქნება, გაზარდოს ასაკობრივი გუნდების ბიუჯეტი და ქალთა ფეხბურთის გუნდის შემქმნაზეც იზრუნოს...


რა თანხას გადასცემს ფედერაცია თანაბრად კლუბებს და ამ თანხას ფედერაციას სახელმწიფო მისცემს თუ არა, ჯერ უცნობია. თუმცა ვარაუდობენ, რომ დაფინანსება სოლიდური იქნება...

ერთი სიტყვით, საქმეს კარგი პირი უქანს.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "გამრია - XXI საუკუნის საუკეთესო მემკვიდრე". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით...

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



ტურინის სუღარა ჯეშმარითაჲ ძრისტუს სამოსია

ქრისტიანული სიწმინდე, ტურინის სუღარა შუა საუკუნეების ნაყოფი არ არის და ნამდვილად ის არის, რითაც იესო ქრისტე დაკრძალეს...

ექსპერტიზის შედეგად იტალიის ენერგეტიკის, ტექნოლოგიებისა და მოწყობილობათა ნაციონალური სააგენტოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ "ქსოვილი, რომელზეც ადამიანის სხეულის ანაბეჭდები და სისხლის ლაქებია შემორჩენილი, არ შეიძლება განეკუთვნებოდეს შუა საუკუნეებს და ამასთან, ისინი ბუნებრივი წარმოშობისაა".


კვლევის დასკვნით ნაწილში მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ეს ანაბეჭდები "ზაღადი ელექტრომაგნიტური ენერჯის ამოტყორცნის შედეგად გაჩნდა". ამდენად, მათი კვლევა საფუძვლიანი დადასტურებაა იმისა, რისიც მილიონობით მორწმუნეს სწამდა, რომ ისინი სუღარაზე ქრისტეს ადგომისას გამოისახა.

ტურინის ლეგენდარული სუღარა დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ მონასტერში. ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის დედაქალაქის აღების შემდეგ სუღარა საფრანგეთში ჩამოიტანეს, მოგვიანებით კი იტალიაში მოხვდა.

ქრისტიანული სიწმინდე ამაჰამდ ტურინში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში ინახება.

გაღმოცემის თანახმად, სწორედ ამ სუღარაში გაახვია იოსებ არიმათიელმა მაცხოვრის სხეული ჯვარცმოდან გარდამოსნის შემდეგ. მასზე ადამიანის სხეულის ანაბეჭდი და სისხლის ლაქები დღემდე შემორჩენილი.

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-კულტურული და ლიტერატურული შურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი ბიორბი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხორიწყურში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში - ტაშაშენის ქ. №25, I სართავაზო, ბინა, 1. შასი 4 ლარი



იუმორი

რა უცებ გადის დრო, ბოშო, - ოხრავს რაჭველი, - აგერ, ჩემი ბიჭი ისე გახდა 16 წლის, დამოქნარება ვერ მოვასწარი.

მერე, მაგას რა სჯობია? მოგსწრება ბიჭი.

ქვე რა მომსწრებია, ამ სიჩქარეში სკოლაში მიყვანა დამავიწყდა, ბოშო.

გურული ჯოჯოხეთში მოხვდა და აღუღებულ კუბრში ჩააგდეს.

ტიტუშუ, რა კაია აქანე, რა კაია! - უხარია გურულს.

რა არის კარგი? - გაუკვირდათ ეშმაკებს.

ანეტა არაა, ჩემი ცოლი, აქანე დიდუ, რა კარგია

ჭიჭიკია, გაიგე, ბიჭიკიანს დაღვეისთვის დაუნებებია თავი.

არ იქნება მაგი მართალი.

როგორ არა, აგერ, გაზეთში ნეკროლოგი წერია.

მარო, ეგ შენი ლიფი, გარეთ რომ ჩამოკიდე, ბავშვებს ჰამაკი ჰგონიათ და შიგ ქანაობენ! - უყვირის მიხო ცოლს.

როცა ჩემთან ქალები არიან, ისინი კენესიან, ყვირიან, იგრიხებიან... ხანდახან ცოტას ტირიან კიდევ...

მე სტომატოლოგი ვარ.

ISSN 1987-8966 ilori. Includes a barcode and contact information for the publication.

redaqciis misamarTi: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6. Includes contact details for the editorial office.

გაზეთი "ილორი" გაცნობა შეგიძლიათ "სამეცნიერო" ვებგვერდზე. Includes the website address www.saqinform.ge.